პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. ს., ბ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.
რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).
ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგი: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისთვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 800 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 162 სამშაბათი, 18 ივლისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 18 ივლისი 1922 წ. № 162

რევოლიუციის ვეტერანის ხსოვნას



ამხ. კამო.

საქართველოს კომპარტიის ცეკა აუწყებს ყველა ამხანაგებს ძვირფასი ამხანაგის, პარტიის ვეტერანის,

ამხანაგ კამოს

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ღამით 14 ივლისს. დაკრძალვა დღეს 5 საათზე.

ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო აცხადებს, რომ ამა ივლისის 14-ს ღამით ტრაღიკულად დაიღუპა რევოლიუციის საუკეთესო მებრძოლი ძვირფასი ამხანაგი

კამო (სიმონი) პეტროსოვი.

დაკრძალვა დღეს 5 საათზე.

თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს აღმასკომი იუწყება

ამხ. კამოს

ტრაღიკულად გარდაცვალების შესახებ. დაკრძალვა დღეს 5 საათზე.

საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტი აუწყებს კომ. ახალ. კავშირის წევრებს

ამხ. კამოს

ტრაღიკული სიკვდილის შესახებ. დაკრძალვა დღეს, 5 საათზე.

ს. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი აუწყებს ნაცნობთ და მეგობართ პროლეტარულ რევოლიუციის თვალსაჩინო მებრძოლის

ამხ. კამოს

ტრაღიკულ გარდაცვალების შესახებ. დაკრძალვა დღეს, 5 საათზე.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს თავის უანგარო ამხანაგის

კამოს

ტრაღიკულათ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 5 საათზე.

გეურქ და ლიზა ბახჩიევები, ჯავაირა ხუტულაშვილი, სანდუხტა ნერსესოვი, არუსიაკ ცინცაძე და დიუსია პეტროსოვის ასული, თავზარდაცემულნი, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ამხანაგებს—პირველნი დისწულის, ხოლო მეორენი ძვირფასი ძმის

კამო (სიმონ) პეტროსოვის

ტრაღიკულად სიკვდილის შესახებ ამა 1922 წ. ივლისის 14-ს ღამით. დაკრძალვა დღეს 5 საათზე.

რევოლიუციონერის ხსოვნას

> **„მხოლოდ ის, ვისაც შეუძლია და სურვილიც აქვს გააკეთოს პატარა საქმე, გააკეთებს დიდ საქმესაც. ვინც ამ ჟამად წვრილმანებს არ აკეთებს, მას მომავალში დიდი საქმის გაკეთება არ შეუძლია“.**

ეს სიტყვები მე ამოვწერე იმ კაცის ავტობიოგრაფიიდან, ვისაც დღეს ჩვენ ვაბარებთ სამარეს, ე. ი. ამხ. კამოს ავტოგრაფიიდან, რომელმაც მოასწრო თავისი ავტობიოგრაფიის მხოლოდ დასაწყისის დაწერა. ასე შეუძლია ილაპარაკოს მხოლოდ ჭეშმარიტ რევოლიუციონერმა. ამხ. კამო, რომლის სიცოცხლე არა ერთხელ ყოფილა საშინელ საფრთხეში, ჩავარდნილი; რომელიც ხშირად უშიშრად მიდიოდა პირდაპირ დაღუპვისაკენ და რომელსაც ბოლოს და ბოლოს ბევრჯერ ქონდა მისჯილი სიკვდილით დასჯა, მაგრამ რომელიც ყოველთვის გამოდიოდა ხოლმე ასეთ დაბრკოლებათაგან, ეს კამო იღუპება ველოსიპედის შემთხვევითი შეტრიალებისაგან, სავსებით მშვიდობიან პირობებში თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე. უნდა ითქვას, რომ სამუდამოთ გამოგვესალმა ერთი უდიდესი რევოლიუციონერთაგანი. გარდა დაუფასებელი ღვაწლისა წარსულში, პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა ამხ. კამოში ერთი ყველაზე უფრო პატიოსანი და ერთგული ამხანაგთაგანი.

ამხ. კამო ეკუთვნოდა უფრო ძველ რევოლიუციონერთა ჯგუფს, თუმცა იგი ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა დაიღუპა. (დაახლოვებით 40 წლისა იყო). არა მარტო პარტიულ წრეებში, არამედ ფართო მასაშიც მას დიდი პოპულიარობა ჰქონდა დამსახურებული და არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთსა და საზღვარ-გარეთაც. რა იყო ამ პოპულიარობის მიზეზი? კამო არ იყო არც მწერალი და არც ორატორი, მაგრამ მისი სახელი*) ეგზომ პოპულიარული შეიქნა. და ეს თავისი პოპულარობა მან დაიმსახურა არა მარტო მუშათა კლასისადმი თავგანწირული სამსახურით, არა მარტო იმ გმირობით, რომელიც მან არა ერთხელ გამოიჩინა თავის რევოლიუციონურ მუშაობაში, არამედ თავისი მდიდარი ბუნებრივი ნიჭით. იგი უეჭველად მაღალ ნიჭიერი ადამიანი იყო; იგი ყველგან და ყოველთვის ირჩეოდა და იქცევდა ყველას ყურადღებას. მაგრამ საკითხავია, სახელდობრ, რაში გამოიხატა კამოს ნიჭიერება? როგორი იყო მისი როლი ჩვენს რევოლიუციონურ მოძრაობაში? როგორია მისი დამსახურებანი ჩვენი პარტიის წინაშე?

ყველა ამ საკითხებზე რომ ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი პასუხი გავცეთ, ამისათვის საჭირო იქნება ამ ადამიანის ვრცელი და სრული ბიოგრაფიის დაწერა. მაგრამ მე ამ ჟამად არა ვწერ ბიოგრაფიას. ამ წერილის მიზანია მოგონება ზოგიერთი ეპიზოდებისა კამოს რევოლიუციონური ცხოვრებიდან და მისი პიროვნების რამოდენიმე სიტყვით დახასიათება.

კამო პირველ ყოვლისა იყო **არალეგალური მუშაკი**, ყველაზე უფრო უკეთესი და დაქნილი ყველა იმ ამხანაგებიდან, რომელთაც კი მე შევხვედრივარ. და ამ არა ლეგალურ ბრძოლაში იგი ჯერ **ორგანიზატორი იყო**, ხოლო შემდეგ კი **მებრძოლიც**. ამ როლში მან გამოიჩინა შესანიშნავი ნიჭი. ყველა კონსპირატიული ხასიათის საქმეში, მას არ სწამდა შაბლონი, პირიქით, ყველგან, ასეთ საქმეში, იგი იჩენდა გასაოცარ ნიჭიერებას, იგი **ახალს ქმნიდა** ამ სფეროში, იყო ასე ვსთქვათ ერთგვარად ხელოვანიც. ბევრს მისი აზრები და წინადადებანი ფანტასტიური ეგონათ და მიუღებელიც თავისი უჩვეულობისა და მოულოდნელობის გამო, მაგრამ ეს წინადადებანი ყოველთვის იყვნენ ლოღიკურად დასაბუთებულნი და დალაგებულნი. რაც ყველაზე უფრო გაკვირვებდათ ამ ადამიანში—ეს იყო **მისი ორიგინალობა, გაბედულობა და სიმტკიცე**.

კამომ დაიწყო თავისი რევოლიუციონური მოღვაწეობა მე-20 საუკუნის დასაწყისში არა ლეგალურ ორგანიზაციებში, როგორც ტექნიკურმა მუშაკთაგანმა, არა ლეგალური ლიტერატურის გადასაგზავნად, შემდეგ იგი ხდება ამ ლიტერატურის ბეჭდვის და ბოლოს **საიდუმლო სტამბის** ორგანიზატორიც. 1905 წელში, მას შემდეგ რაც იფეთქა რევოლიუციამ, კამო ბუნებრივად ებმება რევოლიუციონური მუშაობის ახალ ეპოქაში, ახლა იგი უნდა გახდეს იარაღების შენახვის ორგანიზატორად; ეს კიდევ ცოტაა: ახლა იგი უკვე თვითონ უნდა შეუდგეს ზოგიერთ იარაღების დამზადებასა და გადაგზავნას, როგორც მაგალითად, ბომბების; ამ საქმეში იგი იჩენს პირდაპირ განსაცვიფრებელ გონება-მახვილობას. მაგრამ, როგორც მე უკვე აღვნიშნე, იგი სრულებით არ კმაყოფილდება რევოლიუციონური ბრძოლის ტექნიკური ორგანიზატორის როლით, იგი თვით ხდება მებრძოლი და ამ მხრივ განსაკუთრებულად აქტიური როლი მან ითამაშა 1905 წლის მიწურულში, ნახალოვკაში მომხდარი ახალი შეტაკების დროს, რომელიც გაიმართა თბილისის მუშების ავანგარდსა და კაზაკებს შორის და რომლის დროსაც დაიღუპნენ რამოდენიმე საუკეთესო მუშა-ამხანაგები. კამო ამ შეტაკების დროს გადარჩა, მაგრამ იგი ხელში ჩაუვარდათ ჟანდარმებს, რომელნიც დიდი ხანია გაფაციცებით ეძებდნენ მას, როგორც კამოს. და სწორედ აქ იჩენს იგი პირველად იმ გასაოცარ მიხვედრილობას და გონება-მახვილობას, რომლითაც მან შემდეგში, შეიძლება ითქვას, განაცვიფრა მთელი ქვეყანა. ყველაზე უფრო გამოცდილ და სასტიკ ჟანდარმების როტმისტრების წინაშე, რომელთაც იგი დაიჭირეს, როგორც კამო, მას თავი უჭირავს, როგორც უცნაურ, გადარეულ ადამიანს, რომელსაც არაფერი არ გაეგება, ხოლო ჟანდარმების შეკითხვაზე, იცნობს თუ არა იგი კამოს, იგი სავსებით დამშვიდებულად უპასუხებს, რომ როგორ თუ არ იცნობს. ეს მწვანილია (ქართულად კამა მცენარეს ეწოდება) და თქვენ წარმოიდგინეთ ჟანდარმები მას ანთავისუფლებენ მეტეხის ციხიდან სწორედ იმ დროს, როდესაც თბილისში წარმოებდა შავრაზმული ბრბოს ველური ვაკხანალია და როდესაც თვით კამოს გაფაციცებით ეძებდნენ. ჟანდარმები ჩქარა მოვიდნენ გონს, მიხვდნენ თავის შეცდომას, მაგრამ უკვე გვიან და იყო.

1905 წლის რევოლიუცია დამარცხდა; მუშათა კლასი, რომელმაც აუარებელი მსხვერპლი გაიღო, დროებით დამარცხებულ იქნა პირდაპირ შეტაკებაში; დადგა შავბნელი დღეები სტოლიპინის რეაქციისა, მაგრამ ზოგან კიდევ გადარჩენილი ჩვენი ორგანიზაციები კიდევ დიდხანს არ ყრიდენ იარაღს, რადგანაც ფიქრობდენ, რომ ახალი რევოლიუციის ცეცხლი სულ ახლო მომავალში ავარდებოდა. მაგრამ ამ ახალი რევოლიუციონური მოძრაობის დასაწყებად საჭირო იყო კოლოსალური თანხები, რომელიც ჩვენ ორგანიზაციებს არ ქონდა. საჭირო იყო მათი შოვნა თუ გინდ ექსპროპრიაციის გზით მთავრობისაგან ან კერძო პირთაგან. ამ დროს ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფრაქცია ფორმალურად გაერთიანებულნი იყვნენ ერთ სოც. დემოკრატიულ პარტიაში ხოლო 1906 წლის დასაწყისში სტოკჰოლმის უკანასკნელი ყრილობის დადგენილებით ყოველგვარი ექსები აკრძალული იყო. საჭირო იყო გამოსავალის მონახვა. ჩვენი საუკეთესო ამხანაგების ჯგუფმა, რომელშიც შედიოდენ, გარდა კამოსი. **სტ. ინწკრიველი; ვასო კალანდაძე, ელისო ლომინაძე** და სხვები, შექმნა განსაკუთრებული ორგანიზაცია, პარტიული ორგანიზაციის გარეშე, რომ ეშოვნათ ეს ფულები ჩვენი ბოლშევიკური ცენტრის საჭიროებისათვის და სწორედ იმ დროს, როდესაც სტოლიპინის რეაქცია მთელ რუსეთში მუშათა კლასზე თითქოს თავის გამარჯვებას ზეიმობდა, 1907 წლის ზაფხულში, შუადღისას, ქალაქ თბილისის ყველაზე უფრო მრავალ რიცხოვან მოედანზე—ერევნის მოედანზე, ამ თავდადებულ ამხანაგების ჯგუფი ამხ. კამოს მეთაურობით თავს ესხმის ფოსტას, რომელსაც მიქონდა მნიშვნელოვანი თანხა—250 ათასი მანეთი, ბანკში, და სავსებით გაიტაცა იგი, ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე, სისხლის წვეთის დაუქცევლად თუმცა თავდამსხმელებმა რამოდენიმე ბომბაც გადისროლეს. ეს არა მარტო დიდი მარცხი იყო რეაქციისათვის, ეს იყო აგრეთვე, ერთგვარად მორალური სამაგიეროს გადახდა მუშათა კლასის მხრით საბოლოოდ აღვირ ახსნილ შავრაზმელების წინაღმდეგ. რომ კამოსა და მის ჯგუფს პარტიის წინაშე კიდევ სხვა ღვაწლიც არ მიუძღვოდეს, ან წარსულში ან და მის შემდეგ, მარტო ეს ერთი ექსპროპრიაციაც კი ერევნის მოედანზე, სავსებით საკმარისი იქნებოდა, რომ მათი ხსოვნა სამუდამოდ დარჩენილიყო ჩვენში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ექსპროპრიაციას არ ქონებია შემთხვევითი ხასიათი. აქ იყო სისტემა, დასახული იყო გრანდიოზული გეგმა, რისი განსაკუთრებული ხელოვანი, როგორც ზევითაც აღვნიშნე, იყო კამო. ეს გეგმა ეხებოდა მთელ რუსეთს. აქ არ არის ადგილი ვრცლად შევჩერდეთ ამ საინტერესო ისტორიის ყველა პერიოდებზე. რამოდენიმე ხნის შემდეგ კამო ჩნდება საზღვარგარეთ, სადაც იგი ანვითარებს თავის გეგმას, და სადაც იგი ხელში უვარდება ბერლინის პოლიციას, რომელსაც ხელში ჩაუვარდა ისეთი მასალები, რომელნიც ამხ. კამოს იმდენათ დიდ საფრთხეში აგდებდა, რომ მას მოელოდა სიკვდილით დასჯა. მაგრამ იგი არც აქ იბნევა არ ეძლევა სასოწარკვეთილებას, კვლავ მიმართავს თავის ჩვეულებრივ ხრიკებს და გონება მახვილობას და გერმანიის ხელისუფლება მას კვლავ აძლევს ხელში რუსეთის ხელისუფლებას. იგი ჩასვეს მისთვის კარგად ცნობილ მეტეხის ციხეში. მისი მიზანია, რათაც არ უნდა დაუჯდეს, ციხიდან გაქცევა. მაგრამ როგორ? ის ხომ ერევნის მოედანზე ჩადენილ ექსპროპრიაციის ავტორია და როგორც ასეთს უკვე წინდაწინ მისჯილი აქვს ჩამოხრჩობა. აქ ახლა არ არის ადგილი ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რაოდენი უჩვეულო და ზღაპრული ტანჯვითა და წვალებით მოახერხა ამხ. კამომ ციხიდან გამოქცევა.

ამის შემდეგ იგი კვლავ მიემგზავრება საზღვარ გარეთ, და კვლავ ბრუნდება საქართველოში, უბრუნდება თავის მშობლიურ სტიქიას, თავისი განუყრელი გეგმით და კვლავ უვარდება ხელში მეფის პოლიციას; ახლა კი ყველას გადუწყდა იმედი, ეგონათ, რომ მას აღარაფერი იხსნიდა, მაგრამ ბედმა მას არ უმტყუნა, მას მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, მაგრამ რაღაც მანიფესტის ძალით ეს სასჯელი მას შეუცვალეს 20 წლის კატორღით, რომლიდანაც მას ანთავისუფლებს 1917 წ. თებერვლის რევოლიუცია. არ შემიძლია აქ არ აღვნიშნო ერთი გარემოება. თბილისის მენშევიკები, თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, ყოველგვარად ეწინააღმდეგებოდნენ, რომ ამხ. კამოზე გავრცელებულიყო ამნისტია, რომელიც მათ საშინლად ძულდათ. მაგრამ რევოლიუცია მათზე ძლიერი აღმოჩნდა.

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ამხ. კამოს ცხოვრებაში იწყება თითქოს **ახალი ხანა**, მასში ემჩნევა უმრავლესობისათვის გაუგებარი რაღაც **გარდატეხა**. ამ მოვლენის გასაგებად საჭიროა გავიხსენოთ, რომ ამხ. კამო იყო არა მარტო უმთავრესად იატაკ ქვეშ მომუშავე, არამედ ის თითქოს გაჩენილი იყო იატაკ ქვეშ ანუ კონსპირატიულ მუშაობისათვის. ლეგალურ ცხოვრებას და ლეგალურ მუშაობას იგი თითქოს ვერ ეგუებოდა. კარგად მახსოვს შემდეგი შემთხვევა: 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, როდესაც ჩვენს პარტიას თითქოს ლეგალური ხასიათი უნდა მისცემოდა და დაწყებულიყო ლეგალური მუშაობა, ის მე შემეკითხა: „რაღა უნდა გავაკეთო ეხლა მე—ჩემი როლი გათავდა“. ეს იყო ნათქვამი სრულიად გულწრფელად და ამ სიტყვებში გამოჩნდა ნამდვილი კამო. მაგრამ მაშინ ეს ლეგალური მუშაობა მხოლოდ ილუზია აღმოჩნდა, და იატაკ ქვეშ მუშაობა დადგა ისევ დღის წესრიგში.

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, რასაკვირველია, სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა. წარმოიშვა სულ სხვა პირობები ლეგალურ მუშაობისათვის, მძვინვარე სამოქალაქო ომის მსვლელობაში. უნდა ითქვას სიმართლე, ამხ. კამომ ერთბაშათ ვერ აუღო ალღო ამ ახალ პირობებს, ის პსიხოლოგიურად იყო დაკავშირებული სხვა პირობებთან, სხვა გარემოებასთან და რაც მთავარია, მთელ თავის სიცოცხლეში ეზრდებოდა არა ლეგალურ მუშაობის პირობებისათვის. იგი შედარებით დიდხანს იმყოფებოდა წარსული მუშაობის შთაბეჭდილების ქვეშ, და თავისუფლდებოდა რა ამ შთაბეჭდილებისაგან და ეგუებოდა რა ახალ პირობებს, მან ოქტომბრის რევოლიუციის ხანაში, თავის როლს ერთბაშად ველარ მიაგნო, და დიდხანს სინჯავდა ნიადაგს. მართალია, ის ერთბაშად ვერ გაერკვია მდგომარეობაში და, რაც უმთავრესია, ისევ წარმოიშვა მის გონებაში ძველი გეგმები, ხოლო ეხლა თავის მოქმედების ობიექტად ევროპა უნდოდა მას გაეხადა. მაგრამ რუსეთში სამოქალაქო ომის გაძლიერებამ და კონტრრევოლიუციასთან ბრძოლამ აიძულა იგი ჩაშვებულიყო ქვეშ და მიეღო მონაწილეობა ამ შეტაკებებში. შემდეგ ის მიჰყოფს ხელს სამხედრო ხელოვნების ზედმიწევნით შესწავლას, რათა სამსახური გაეწია მომავალ პროლეტარულ რევოლიუციისათვის ევროპაში, მაგრამ ჩქარა თავს ანებებს ამ მეცადინეობას და იწყებს საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობას. სიკვდილი უსწრობს მას სწორედ ამ მომენტში. მე ვიცოდი, რომ კამოს ეს მუშაობა ვერ დააკმაყოფილებდა. ყველა ჩვენ ამხანაგებს, რომელნიც ახლოს იცნობდენ კამოს, უკვირდათ მისი დანიშვნა საბაჟოს ოლქის მმართველის თანამდებობაზე მე ვფიქრობ, და ამაში დამეთანხმებიან სხვა ამხანაგებიც, საბჭოთა აღმშენებლობის პირობებში, და განსაკუთრებით, მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის დაწყების წინ ამხ. კამომ ვერ მოასწრო ყველა თავისი ძალების და აღმშენებლობითი ნიჭის გამოყენება. და რაოდენ განუზომელია ეს ძალა და ეს ენერგია!

რომ არ მოესწრო მისთვის უდროვო სიკვდილს და ამასთანავე ყოფილიყო სათანადო პირობები, მას ერთხელ კიდევ შეეძლო გაეკვირვებია მთელი ქვეყანა თავისი გმირული მოქმედებით პროლეტარიატის საკეთილდღეოდ. მაგრამ იმან უამისოდაც ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ მისი სახელი სამუდამოდ დარჩეს მუშების და გლეხების გულში.

ფ. მახარაძე

---

*) კამო—ეს მისი ზედმეტი სახელწოდებაა, ხოლო მისი სახელი მგონია ამ ტრაღიკულ დღემდი არც ერთ მის ამხანაგთაგანმა არ იცოდა.

ამხ. კამოს დაკრძალვის წესი

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი, ქალაქ თბილისის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს პროფკავშირთა საბჭო

იწვევენ ტფილისის პროლეტარიატს მშრომელთ და მოქალაქეთ პროლეტარულ რევოლიუციის შეუდარებელ მებრძოლის ამხ. კამოს დაკრძალვაზე, რომელიც მოხდება სამშაბათს ა/წ. 18 ივლისს.

ყველა მუშათა წარმოებანი (ფაბრიკები, ქარხნები, სახელოსნოები და სხვ.) ათავებენ სამუშაოს დღის 1 საათზე. საბჭოთა დაწესებულებანი მუშაობენ ჩვეულებრივი ტემპით.

საღამოს 5 საათზე ყველა რაიონები იკრიბებიან მუშათა სასახლის წინ.

1 რაიონი—იკრიბება ნაშუადღევის 3 საათზე პარტიის პირველ რაიონულ კომიტეტთან და გაემართება შემდეგი მარშრუტით: ჩერქეზიშვილის, კირკის ქ. ვერის დაღმართი და რუსთაველის პროსპექტი და გაჩერდება მუშათა სასახლის პირდაპირ მარჯვენა მხარეზე.

2 რაიონი იკრიბება ნაშუადღევის 4 საათზე პარტიის მე-2 რაიონს კომიტეტთან და მიჰყვება I რაიონს კირკის ქ. ვერის დაღმართი, რუსთაველის პროსპ.) და ჩერდება 1 რაიონის გვერდით.

3 რაიონი.—იკრიბება დღის 3 საათზე კახეთის მოედანზე მე-3 რაიონის კომიტეტთან და გაემართება შემდეგი მარშრუტით: რიყის ქ., მუხრანის ხიდი, ბარიატინსკის ქუჩა, და დგება ბარიატინსკის ქუჩაზე, მარჯვენა მხარეზე მუშათა სასახლესთან,

4 რაიონი.—იკრიბება ნაშუადღევის 4 ნახევარ საათზე 4 რაიონის კომიტეტთთან და დგება მე-2 რაიონის გვერდით. განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილი და ჯარის ნაწილები დგებიან მუშათა სასახლის გასწვრივ რუსთაველის პროსპექტის და სასახლის ქუჩის ორთავ მხარეზე.

რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, საკავშირო საბჭოს, საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტის, ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის, პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს, კავკასიის საოლქო კომიტეტის, კომუნისტურ ახალგაზრდობის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტის წევრები ეწყობიან პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში და მუშათა სასახლის შესავალთან.

ნაშუადღევის 5 ნახ. საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში გაიმართება **სამოქალაქო პანაშვიდი**.

ნეშთის გამოსვენება დასაკრძალავად მოხდება საღამოს 6 საათზე (პუშკინის სკვერში).

პროცესიის წესრიგი შემდეგია: კუბოს უკან მისდევენ ზემოდაღნიშნულ პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ხელმძღვანელ ორგანოების წევრნი, განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილები, 1, 2 და 4 რაიონები რუსთაველის პროსპექტით, სასახლის ქუჩით დაკრძალვის ადგილას და დგებიან პუშკინის სკვერის მარცხენა მხარეზე როზა ლიუქსემბურგის ძეგლთან.

მე-3 რაიონი გაემართება ბარიატინსკის, ლორისმელიქოვის და პუშკინის ქუჩით და დგება პუშკინის სკვერის მარჯვენა მხარეზე.

გვირგვინები არ იქნება: ყველა ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა და პირებმა, რომელთაც სურთ პატივი სცენ განსვენებულის ხსოვნას, კეთილინებონ შეიტანონ შემოწირულება ამხ. კამოს სახელობის საბავშვო სახლის ფონდში, რომლის გახსნა განზრახულია ამ მოკლე ხანში (ტფილისის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში).

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი.

ქ. ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო.

პროლეტარული კლასის პატრიოტი

ნაციონალური ზღუდენი ჯერ კიდევ ჰყოფენ კაცობრიობას ნაწილებად.

ვერტიკალები და ჰორიზონტალები ჯერ კიდევ არ არიან დანგრეული და ჩაბარებული სიძველეთა მუზეუმში. და საერთაშორისო პროლეტარიატი განაგრძობს ყოფნას ნაციონალურ გალიებში. მხოლოდ დიადი გაერთიანება მისი, კომუნისტური ინტერნაციონალი, კომუნისტურ პარტიის მეთაურობით, ანგრევს ამ ზღუდეებს, აქცევს ქვეყნიერებას მშრომელი კაცობრიობის ყველა რაზმების საერთო სამშობლოდ.

ხანგრძლივია ეს პროცესი. ბურჟუაზიულ წესწყობილების მემკვიდრეობითი თვისებები, გავლენას ახდენენ და მომავალშიაც მოახდენენ სოციალისტურ საზოგადოების არა მარტო ეკონომიურ სტრუქტურაზე, არამედ ამ საზოგადოების წევრთა ფსიქოლოგიაზედაც. კომუნიზმის ამოცანაა—შესცვალოს არა მარტო ნივთიერი ურთიერთობა, არამედ ადამიანთა შინაგანი ბუნებაც: ამოცანა, რომლის გადაწყვეტა მოუხდება კაცობრიობას სოციალისტური ეტაპის მთელ პერიოდში, კომუნიზმისაკენ გარდამავალ პერიოდში. მაგრამ ეხლაც ჩვენ შორის, სჩანს კომუნისტურ საზოგადოების მომავალ მოქალაქეების სახეები, იმ საზოგადოების, სადაც არ იქნება „არც ჰელინი, არც იუდეელნი“, სადაც ნაცია გადაიქცევა მხოლოდ და მხოლოდ გეოგრაფიულ ცნებად.

ერთი ასეთი იყო ჩვენი კამოც.

სად, რომელ რუბრიკაში შევიტანოთ იგი.

„რუსეთის“ კომუნისტია იგი, „სომხეთის“ „საქართველოსი“ თუ რომელიმე სხვისი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია. თვით საკითხის ასეთ ნაირი დაყენება კამოს მიმართ, ყველა იმათთვის, ვინც იცნობდა მას, არა ბუნებრივი იქნებოდა. სომეხი, მეტრიკული ჩაწერით, ის ბევრს ეჩვენებოდა, ხან ქართველად, ხან ებრაელად, ხან რუსად და სხვა.

მაგრამ თვითონ იმისთვის არ არსებობდა არავითარი სამშობლო, გარდა პროლეტარიატის სამშობლოისა, რომლის სახელია შრომის განთავისუფლებული სამეფო. ხოლო განთავისუფლებამდე ის ყველგან იყო, სადაც იყო პროლეტარული ბრძოლა, სადაც საჭირო იყო რევოლიუციონური მუშაობა სამშობლოში.

ბურჟუაზიულმა რევოლიუციონიზმა წამოაყენა ლაფაიეტის „ისტორიული ფიგურა“, ადიდებდა რა მას, როგორც ორი მსოფლიოს მოქალაქეს—ევროპის და ამერიკისას. პროლეტარული რევოლიუციონიზმი აყენებს ბუნების კანონის აუცილებლობით ისეთ პატრიოტებს პროლეტარიატისა, როგორიც არის ამხ. კამო, რომელიც სთვლიდა თავის თავს შვილად არა ამა თუ იმ ხალხისა, არამედ კომუნიზმის შვილად და ამ კონუზმის მატარებლის—მშრომელთა საერთაშორისო ძმობა-ერთობისა. მას არ „იზიდავდა“ რუსეთიდან გასაბჭოებული საქართველო, როდესაც საჭირო იყო მისი მუშაობა იქ სადაც ის იმყოფებოდა. არ „იზიდავდა“ მას საბჭოთა რუსეთი, აგრეთვე, მენშევიკების მუსავატისტების და დაშნაკელების ყვითელი ამიერ-კავკასიიდან, როდესაც აქ იყო საჭირო მისი მუშაობა—მუშაობა რევოლიუციის შეუდარებელ მექანიკოსისა.

ის იყო კომუნიზმის კომპარტიის პატრიოტი. არავითარი სამშობლო, არავითარი მშობლები, გარდა რევოლიუციისა და რევოლიუციონერებისა მისთვის არ არსებობდა.

და ეს აძლევდა მას შესაძლებლობას ებრძოლა ყოველ სამშობლოსათვის—საქართველოსათვის, ისე როგორც რუსეთისათვის, სპარსეთისათვის, ისე როგორც გერმანიისათვის, ჰყვარებოდა ერთნაირად როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი, ისე „სხვისი“ ხალხი, რამდენათაც ეს ხალხი რევოლიუციონურია. ვინაც იცის მისი დამოკიდებულება ნათესავებთან—რომელნიც ყველანი რევოლიუციონრებია,—და აგრეთვე მისი შეხედულება მსოფლიო პროლეტარიატის დიდ წინამძღოლ ამხ. ლენინთან და აგრეთვე ვინც იცის მათი დამოკიდებულება მასთან, იმას ადვილად შეუძლია გაიგოს ის თავისებური მანიზმი, რაც ესოდენ დამახასიათებელია ამხ. კამოს გრძნობებისათვის. ეს მთლიანი, ორგანიული მანიზმი კამოს ბუნებისა, ხდიდა მას პროლეტარულ პატრიოტის საუკეთესო ნიმუშად. მის მაგალითში ბევრია ისეთი, რაც ჩვენ ყველამ უნდა შევითვისოთ და შეითვისოს მისმა მომდევარმა პროლეტარიატის ახალგაზრდა გვარდიამ.

მ ამია.

კამოს

„ეს მიწა იცინის, როდესაც ზედ დავდივარ; მას უხარია, რომ ცოცხალი ვარ“. ასე ამბობდა კამო, რომელიც ვინ იცის, რამდენჯერ გადურჩა პირდაღებულ სიკვდილს!

„მე მირჩევნია ოცდახუთი წელიწადი კვლავ შლისელბურგის ციხეში მარტოთ-მარტომ გავატარო, ხელმეორეთ ავიტანო განვლილი ტანჯვა-ვაება, ვიდრე გამოვცადო ის, რაც შენ „სამი წლის განმავლობაში თავს გადაგხდენია“.

ასე უთხრა კამოს ცნობილმა რევოლიუციონერმა მოროზოვმა, როდესაც მოისმინა კამოს თავგადასავალი, მისი ცხოვრების ერთი ეპიზოდი, ბერლინის და თბილისის ციხე-საავადმყოფებში მის თავს დატეხილი წარმოუდგენელი წამება.

წამებული იყო კამო მთელ თავის სიცოცხლეში. ათეულ რევოლიუციონერს აიწონიდა მისი საგმირო საქმეები და აურაცხელი ხალხის ენერგიას შეიწირავდა მარტო მისი ნამოქმედარი. არ დარჩენილა ისეთი სატანჯველი, რაც უხვათაა დაბნეული რევოლიუციონერის ეკლიან გზაზე, რომელიც კამოს არ ეწვნიოს მთელი სიგრძე-სიგანით, რომლის ფიალა მას სავსებით არ გამოეცალოს.

მაგრამ ამასთანავე მოუტეხელი იყო კამო, ქედმოუხრელი, შეუპოვარი და ყოველ ახალ სატანჯველში ის ახალ ენერგიას იკრეფდა და უფრო გაჯიქებული განაგრძობდა ერთხელვე არჩეულ გზას. მან არ იცოდა გულის გატეხა, იმედის წარკვეთა, მან არ იცოდა წუთიერი დაღონებაც კი. ის, სიცოცხლით სავსე, სიცილით ხვდებოდა ყოველ მოვლენილ გაჭირვებას და წარბ-შეუხრელათ იტანდა ახალ და ახალ განსაცდელს.

საკვირველია, გასაოცარია! უვნებელი გამოვიდა კამო იმ რევოლიუციონური კოცონიდან, რომელშიაც ის თავისი ბავშვობიდან ტრიალებდა და რომელსაც ის ერთი ფეხის ნაბიჯით არ მოშორებია. დიდი წამებული იყო კამო და ამავე დროს დიდათ განებივრებული თავისი ბედისაგან. წამება მას ვერას აკლებდა, ის მუდამ სიცოცხლობდა, მუდამ იცინოდა და მისივე მოსწრებული სიტყვით რომ ვთქვათ, ის აცინებდა იმ მიწასაც კი, რომელზედაც დადიოდა. დიახ, აცინებდა! თავის სულიერ განწყობილებას, თავის დაუშრეტელ რევოლიუციონურ ცეცხლს ის სდებდა და აბნევდა მთელ გარემოში, ის ითრევდა თავის ფერხულში, ვისაც კი გაეკარებოდა.

მისი დედა და მამა, მისი ოჯახი—ეს რევოლიუცია იყო, სხვა საზრუნავი მას არ გააჩნდა. მაგრამ მასავით მიტოვებული ოჯახი მაინც მის გზაზე მიდიოდა, მის ეკლიან გზას იზიარებდა, მისი სიცოცხლით სუნთქავდა, მის მზეს ფიცულობდა. მისი დები—ჯერ კიდევ როცა ისინი უწლოვანო ბავშვები იყვნენ—ჯავაირა, არუსიაკა, სანდუხტა, თვით პატარა ლიუსიც კი თამამად გაყვნენ ძმის გზას და მისი წყალობით ადრე იწვნიეს რევოლიუციონერის სამსალით სავსე სიცოცხლე. თვით საწყალი დედა, რომელსაც კამოს მიხედვით, ჩვენ ყველანი დედას ვეძახდით, ჩაება რევოლიუციის ორომტრიალში და მთელი არსებით იგრძნო მისი სიმძაფრე.

ბედის უკულმართობამ მოინდომა, რომ რევოლიუციის ეს ცოცხალი არქივი, ეს განხორციელებული სიცოცხლე რამდენიმე წამში გამქრალიყო! თითქო შეშურდა მას ჩვენთვის ეს ძვირფასი განძი და ის ხელიდან გამოგვტაცა.

კამო აღარ არის! ვის არ შეზარავს ეს ამბავი, ვის გულს არ დააკვნესებს ის მწარეთ, ვისი თვალები შეიმაგრებს მდინარე ცრემლებს! მაგრამ ჩვენ არ გავყვებით ამგვარ გულისთქმას, [illegible] ხოცავთ მწარე ცრემლებს და კამოსებური ალალ-მართლობით, მისებური სიმხნევით ვიტყვით:

კამო მუდამ ცოცხალი იყო,
და მუდამ ცოცხალი იქნება!

მალაქია.

კამოს საფლავზე

უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა მისი სიცოცხლე. სიცოცხლე აღსავსე მღელვარე რევოლიუციონური ენერგიით. მისი სახელი გახდა თავდადებულ გმირობის სინონიმად, სიმბოლოდ უზომო პატიოსნებისა და ცეცხლებრივ გულწრფელი, გაუქრობელი რევოლიუციონური ენერგიისა. იგი იშვიათი იყო იშვიათთაგან შორის. რამდენჯერ უდგა იგი სიკვდილს პირისპირ. რამდენჯერ უთამაშნია მას თავის სიცოცხლესთან, როგორც სათამაშო ნივთთან. და რამდენჯერ შეაქცია ზურგი მას სიკვდილმა. ძალიან ხშირად გონებით ვეთხოვებოდით მას და უგზავნიდით ჩვენი სიყვარულის ცრემლებსა და ჩვენი სულის ამონაკვნესს. იგი კიდევ და კიდევ ჩნდებოდა ჯალათების თვალების წინ, როგორც აღმდგარი მკვდრეთით. იგი მოკვდა. ის აღარ არის, არ არის ადამიანი, რომელთანაც ჩვენ შეზრდილი ვიყავით განუწყვეტელი ტანჯვითა და წამებით, რევოლიუციის წინამორბედი გრძელი და შავბნელი დროის მსვლელობით.

მახსენდება ცეცხლობრივ ნათელი მომენტები, როგორც შავბნელ ღამეში ელვა, როდესაც უიმედობა და სასოწარკვეთილება იპყრობდა ჩვენ სულს და სწამლავდა ახალგაზრდა ფესვებს რევოლიუციური გატაცებისას. როდესაც ცხოვრების უკუნეთი სიბნელე საოცარი სიმძიმით აწვებოდა ჩვენს კისერს და რეაქციის მომაკვდინებელი ქარტეხილი აქრობდა სუსტს სინათლეს ჩვენი მანათობელი ჩირაღდნისას, როდესაც ჩვენ ვყრიდით იარაღს და ტყვიასავით მძიმე ფიქრებით ისერებოდა ჩვენი ტვინი, მაშინ, ასეთ მომენტებში, საიდანაც გამოჩნდებოდა იგი,—მუდამ მშფოთარი, დაუდგრომელი, რომლისათვის უცხო იყო პესიმიზმი და რეფლექსია და ჩვენც მხიარულნი, გულში ბრძოლის ცეცხლით აღტყინებულნი, დაჭიმული ძარღვებითა და გაფართოებული თვალებით, რომელიც თურგნავდა ღამის სიბნელეს, მივისწრაფოდით წინ. დიახ, მაშინ მოდიოდა კამო, ნაზი, როგორც მტრედი, გულწრფელი, როგორც ბავშვი, მაგრამ მაგარი, როგორც ტოლედოს რკინა. იგი ჩვენი მუდმივი დროშა იყო დაუცხრომელი ბრძოლისა და დაუშრეტელი წყარო რევოლიუციონური ბრძოლისა. სიმხიარულე და სიცოცხლე ყველგან და ყოველთვის, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხშიაც კი, იყო მისი დამახასიათებელი თვისება. არ იყო ტანჯვა და წამება, რომელიც მას არ განეცადა და ამიტომ ცხოვრების უკუღმართობანი და ბრძოლაში დროებითი დამარცხება, იყო მისთვის მხოლოდ ახალი, საზღაპროდ გაბედული და საშიშარი სამხედრო გეგმების იმპულსი. ჩვენი პარტიის ისტორიაში, ბევრი ფურცლებია დაწერილი ამ დიადი მებრძოლის სისხლით. გუშინ, მისი გვამის წინაშე, ჩვენმა ძველმა ამხანაგმა ჩუმათ ჩამჩურჩულა ყურში: „ძველი გვარდია მიდის“. ეს სიტყვები ჩამესო გულში, როგორც გახურებული რკინა. ძვირფასო აჩრდილებო სტეფანესი და ალიოშასი, კამო გაგვშორდა ჩვენ, რომ თქვენ შეგიერთდეთ. ძვირფასო ძმებო, სისხლითა და ბრძოლით, თქვენი ხსოვნა ყველაზე უფრო წმინდა დროშაა ცოცხლად დარჩენილებისათვის, თქვენი მაგალითი სიმბოლოა მათი რევოლიუციონური რწმენისა, თქვენი სახე ემბლემაა სიწმინდის, თავდადებული გმირობისა და სიყვარულისა.

მოკვდა კამო, ის კვლავ აღარ იქნება ჩვენ შორის. აწ აღარ გაგვასხივოსნებს მისი ლმობიერი, კეთილი ღიმილი, აწ ველარ გავიგონებთ მის გონებამახვილურ მხიარულ ხუმრობას. დაეცა ძველი კომუნარი, წაიღო რა თან საფლავში სული, რომელიც იწვოდა განუქრობელ ცეცხლით, და გული, რომელიც სიყვარულის წყაროთი იყო აძგერებული.

ვინ იყო კამო. ამ კითხვაზე მეტად ძნელია ვრცლად და ფართოდ პასუხის გაცემა, როდესაც ჩვენ თვალწინ დევს მისი დასახიჩრებული გვამი. ცრემლებით არ იწერება დიდი რევოლიუციონერის ისტორია, და ეს ცრემლები ჯერაც არ გაშრობილა ჩვენ თვალებზე.

ის იყო რევოლიუციის შეუდარებელი ტეხნიკოსი, რომელიც შეჩვეული იყო ესუნთქა ნაღმის კვამლი და რომელსაც ასულდგმულებდა, იატაკის ქვეშ მუშაობის სახელოვანი ძველი დროის და რევოლიუციონური ტერორის მოგონებანი. ძველი მებრძოლი ყოველთვის ეძებდა შემთხვევას გამოეყენებინა თავისი ბრძოლის ენერგია. სიკვდილის დღეს ის მოვიდა ჩემთან და მარწმუნებდა, რათა გაგვეგზავნა ის მარტოდ-მარტო კახეთის ბანდის წინააღმდეგ. „მე გადავიცვამ გლეხკაცის ტანისამოსს, ავიღებ ხელში ცელს და გავემგზავრები კახეთში. მე დარწმუნებული ვარ, რომ შევსძლებ მეთაურების მოკვლას“. მას უციმციმებდა თვალები და გული უტოკავდა.

გამოუთქმელი მხიარულება აღიბეჭდა მის ფართე პირისახეზე, როდესაც მე მას ვუპასუხე: „მოვილაპარაკოთ და მოვიფიქროთ მეთქი“. საღამოზე ის აღარ იყო. ბედისწერამ მოისურვა დაცინვა ამ დიდი მებრძოლის:

ის დაეცა არა სახელოვან ბრძოლაში. მშვიდობით საუკუნოდ, ჩვენო დიდებულო საყვარელო ძმაო.

ხ. ქავთარაძე.

კამოს საფლავზე

შენ რწმენის ცეცხლით ენთებოდი ჩვენს ბნელ მიდამოს,
ღამის წყვდიადში გვიკაფავდი გზას ბარდ-ეკლიანს;
„ვინც ჩვენთან არის, მტერთან ბრძოლა უნდა იწამოს,
„უნდა ვიაროთ და გადვიაროთ მთებს მაღალ კლდიანს,
„რომ მივაღწიოთ ჩვენს სამეფოს. გასხივოსნებულს
„რომ ვინახულოთ შრომის მხარე ბაღნარიანი
„წყევას უვლიდეთ ძველ ქვეყანას ცეცხლით მოდებულს
„სვავთა ღმუილით ტყე სტიროდეს უღრანიანი“.
ასე გვეძახდი აღთქმულ მხარეს საყვირის ხმებით,
წინ მიგვიძღოდი და უშიშრათ გზებსა გვიკვლევდი,
ო, ბევრჯერ, ბევრჯერ მოგსევია გარშემო მგლები,
მაგრამ მათ ხროვას მამაცურად იგერიებდი..
გადავადექით მთის მწვერვალებს და გადავყურებთ,
შორით უცქერით სანეტარო ოცნების მხარეს,
ჩვენი გულიდან ბოღმა-სევდა მთლად ამოვწურეთ
და არ გვისველებს შავი ბედის ცრემლები თვალებს..
მაგრამ... დღეს დილით ჩვენს რიგებში ისმის წუხილი
თვალები ცრემლით აგვსებია და ვტირით, ვტირით,
ვტირით უფროს ძმას, ვინც მტრის რისხვა, ჰქვა ქუხილი
გამოიარა ცეცხლის გზებით და გასაჭირით..
და გვირეკს ზარი, გლოვის ზარი... დაჰქრის მთის ქარი.
„ველოსიპედზე გადავარდა... მოკვდაო კამო“..
შრომის უბნები ცნობას იღებს.. სტირის მთა-ბარი
და სულის ბაღში ჩამონისლდა სევდის საღამო..
აღარ გვყავს კამო!. მაგრამ მის გზას ჩვენ არ დავტოვებთ..
ამ მაღალ მთიდან, რომ უცქერით იმ სანეტაროს,
კვლავ მისკენ ვილტვით, არ დავიცდით, არ დავიყოვნებთ,
და საფლავში ძმავ ჩამოგძახებთ, რომ გაგეხაროს..
„ჩვენ მივაღწიეთ სანეტაროს—მშრომელთა მხარეს,
„საით ილტვოდი ცეცხლის სულით, უსაზღვროებით
„იქ შენს სახსოვრათ ჩვენ დღეს ვაგებთ ძმობის სასახლეს
„და გაიხარე ძმავ შენც ჩვენთან ნეტარ დროებით“.
ეხლა მშვიდობით!..

ხანდრო ეული.

ძვირფას ამხ. კამოს

არ მჯერა, არ მინდა დავიჯერო, რომ კამო გარდაიცვალა, რომ ის აღარა გვყავს. შეუძლია გარდაიცვალოს, მოკვდეს სიმონ პეტროსიანი, მას შეუძლია არ იყოს ჩვენთან, შეიძლება მოხდეს, რომ არაფერის არ მთქმელი სახელი უკვალოდ წარიშალოს. მაგრამ არ მინდა დავიჯერო, საშინლად მტანჯავია იმის წარმოდგენაც კი, არა თუ შერიგება იმ აზრისა, რომ აღარა გვყავს ცეცხლებრივ დაუდგრომელი კამო, აღარ არის დაუცხრომელი და თავდადებული რევოლიუციონერი, რომელიც ამიერ კავკასიის მუშური რევოლიუციის სტიქიამ წარმოშვა კამო.. ეს დაუდგრომელი და უშიშარი რევოლიუციონერი, რომელსაც ესმოდა მხოლოდ დისციპლინა და დამორჩილება... ეს არის დისციპლინა მუშათა პარტიის და დამორჩილება მისი ნებისყოფისადმი, დიდი პარტიზანი რევოლიუციონერი, იგი სცხოვრობდა მხოლოდ წმინდა მუშური რევოლიუციის ინტერესებით, ჩნდებოდა იმ პოსტებზე, სადაც საჭირო იყო განსაკუთრებული გამბედაობა, ენერგია და თავდადება. ის წრე პირებისა, რომელიც იცნობდა და იცნობს პირადათ არა ლეგალურ რევოლიუციონერს კამოს, ძალიან პატარაა, მაგრამ ისინი ვინც მოუწოდებდენ ხალხს მუშათა ინტერესებისათვის საბრძოლველად, კამოს სახელი ცნობილია მათთვის, ყველასთვის და ყველგან ამიერკავკასიის საზღვრებში. ეს სახელი მოუწოდებდა ყველას მუშათა კლასის განთავისუფლებისაკენ და არ შეიძლება არ გახდეს საყვირათ, რომელიც ეხლაც ამ ბრძოლისაკენ მოუწოდებს მათ; იგი მოწამლულია რევოლიუციის ცეცხლით და მას არ შეუძლია არ შთაბეროს ეს ცეცხლი მომავალშიც. კამო გარდაიცვალა ისე, რომ განვლო ბრძოლისა და ტანჯვის გზები... მაგრამ მისი სახელი, რომელიც მისივე სიცოცხლეში, შემოსილი იყო ზღაპრული გვირგვინით, გახდა დაუცხრომელი—რევოლიუციონერ ენტუზიაზმის სიმბოლოდ და ყველას ბარიკადებისაკენ მოუხმობს.

მიშა.

ამხ. კამოს ხსოვნას

რუსეთის რევოლიუცია მდიდარია ძლიერი და ორიგინალური პიროვნებებით, იმდენათ მდიდარია, რომ მისი გმირების სიას ვერც ერთი ქვეყანა ვერ წამოუყენებს ბადალს. აქ თქვენ შეხვდებით ისტორიის დაღით აღბეჭდილ პიროვნებებს, აღჭურვილთ მაღალის ნიჭით და ძლიერის ნებით. მათ მთელი ქვეყანა იცნობს. ასეთს ტიპს რევოლიუციონერისა წარმოადგენს ლენინი. ასეთი ტიპი მეტის მეტათ იშვიათია, მას მხოლოთ ეპოქა ჰქმნის.

მეორე ჯურს ეკუთვნიან ის სულით სპეტაკი ღრმა იდეალისტები, რომელთა სიტყვა საქმეა, საქმე დიადი; მნიშვნელობით განუზომელი. ამ ჯურს ეკუთვნიან ჩერნიშევსკი, ლავროვი, გორკი, კირილენკო და სხვ. ამათი სახელიც ისტორიულია და მათ ყველა იცნობს.

ამათ გვერდზე არსებობს მესამე ტიპი რევოლიუციონერისა უფრო ხშირი, უფრო ჩვეული, მაგრამ მაინც ძალიან იშვიათი. იგიც ძლიერია სულით, იგიც სპეტაკია გულით, მასაც იცნობენ, მხოლოთ ქვეყნები კი არა, არამედ მხარეები და წრეები. ამ ჯგუფს ეკუთვნის ჩვენი უდროოთ დაკარგული ამხანაგი კამოც. ის არაა მსოფლიო გმირი, მაგრამ მაინც გმირია. თუ ვინმეს შეეძლო ეთქვა: „მე შევსწირე რევოლიუციის საქმეს ყველაფერი“—ეს იყო კამო. მეტი თავდადება, მეტი თავგანწირულება, მეტი ერთგულება რევოლიუციის საქმისადმი არავის გამოუჩენია.

გადავავლეთ თვალი მის მრავალტანჯულ სიცოცხლეს და იტყვით: კანონ დოილის მდიდარი ფანტაზია ვერ შეჰქმნიდა ისეთ საშინელებებს, რომელნიც მას საკუთარ ზურგზე გადაუტანია. გადაუტანია უჩივლელათ, უსაყვედუროთ როგორც გმირს. ის გადურჩა ავადმყოფობას, ციხეს, კატორღას, სიგიჟეს, ჩამოხრჩობას მოწამვლას. ყველაფერსა სძლია მისმა ძლიერმა, რკინის აგებულებამ, დღეს კი ის დაიღუპა რაღაც უაზრო, ბრმა შემთხვევით. დაიღუპა ისევე როგორც მასავით გმირი კრავჩინსკი მატარებლის ლიანდაგზე გაზეთის კითხვის დროს. აღმაშფოთებელია ასეთი რევოლიუციონერის ამგვარი ბოლო. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ერთი რამ. შეუძლებელია, რომ კამო და მისთანები ჩვეულებრივის სიკვდილით მოკვდენ—სანატორიაში, ან სადმე რბილ ლოგინზე.

ასეთი არა ჩვეულებრივი პიროვნებები არა ჩვეულებრივადვე კვდებიან ან ბრძოლის ველზე მოწინავე რიგში, ან ბარიკადაზე თოფით ხელში, ან სახლის თავზე წითელი ბაირაღით ხელში და თუ ყველა ამას გადაურჩენ, მაინც არა ჩვეულებრივ პირობებში ჰპოებენ სიკვდილს, რადგან ესენი ვერ ეტევიან ჩვეულებრივი ცხოვრების კალაპოტში.

დიდია ჩვენი დანაკლისი ჩვენ დავკარგეთ საუკეთესო მებრძოლი, უებარი ამხანაგი და უსპეტაკესი პიროვნება, რომელსაც არასდროს არ მიჰკარებია ცხოვრების ჭუჭყი. დიდია ჩვენი დანაკლისი, მაგრამ სანუგეშოთ ის გვრჩება რომ არც რუსეთში, და მით უფრო ამიერ კავკასიაში არ მოიპოება კუთხე სადაც კამოს არ იცნობდენ. შენი სახელი მუდამ დაუვიწყარი, და უკვდავი დარჩება ჩვენ შორის. ეს აღარაა სიკვდილი, ან თუ არის—არის მისი საუკეთესო ფორმა. ამიტომ თამამათ გეუბნები, საუკეთესო ამხანაგო: ვისურვებ, რომ ჩვენ, შენს მეგობრებს, შენსავით უმწიკლო და სპეტაკი სახელი დაგვრჩენოდეს სიკვდილის შემდეგ.

ა. ხვანიძე.

აღარა გვყავს ერთი ძვირფასთაგანი

შემთხვევითმა, უაზრო სიკვდილმა გამოაცალა ჩვენ რიგებს არა მარტო ძველი, სახელოვანი და გამუდმებული მოდარაჯე პროლეტარული რევოლიუციისა. დაიღუპა უდროვოდ, იშვიათი თავისი ხასიათითა და მოღვაწეობით, ამხანაგი, რომელსაც ყველაზე უფრო მეტად შეეძლო ემაყა იმ ღვაწლით, რომელიც მას მიუძღვის პარტიისა და რევოლიუციის წინაშე.

მაგრამ მისი იშვიათი ხასიათის მთელი სიძლიერე მდგომარეობდა იმაში, რომ იგი გასაკვირველად თავდაბალი ადამიანი იყო და ვერავინ უბრალო თვალით ვერ შეატყობდა ამ, შესახედავად ერთგვარად მოუხეშავ, მაგრამ განსაკუთრებით მაგარი აგებულების ადამიანი, ნამდვილ თავდადებულ გმირს.

მას თითქმის ყველა იცნობდა, მაგრამ ყველამ როდი იცოდა მისი ფასი. შეიძლება და ალბად, კომუნისტების ახალთაობას კამოს სახელი არაფერს არ ეუბნება. ამავე დროს კი კამო თავისებური ცენტრალური ფიგურაა ჩვენი პარტიის პოლიტიკური ბრძოლისა, როგორც კავკასიაში, ისე რუსეთში. ის არ იყო არც თეორეტიკოსი და არც მეცნიერი, არც ინჟინერი და არც ვექილი. იგი არც პუბლიცისტია და არც ორატორი, არ არის იმ წრიდან, ვისი პოლიტიკური კარიერაც შენდებოდა საჯარო გამოსვლებით პრესაში ან ტრიბუნაზე.

მას ვერ შეამჩნევდით ფართო მასაში. მაგრამ უმისოთ, კამოს გარეშე, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ჩვენი ბრძოლა ამიერ-კავკასიაში და რუსეთში მეოცე საუკუნეში.

კამო გამოჩენილი, შეუდარებელი ტეხნიკოსი იყო რევოლიუციონური საქმისა, რომელსაც ამაში ბადალი არ ყავდა. იგი არალეგალური მებრძოლი და მეამბოხე იყო ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. იგი მთავარი ძარღვია რევოლიუციონური ბრძოლისა. გადახედეთ მთელ მის მუშაობას 1900 წლიდან და თქვენ შეხვდებით მას ლიტერატურის გადამზიდველის როლში, საიდუმლო სტამბის მოწყობილისა და დემონსტრაციების გამმართველის როლში. და ასე მიაღწია მან 1905 წ.

დაიწყო ამ საისტორიო წლის გაცხარებული მუშაობა და კამო პირველ რიგებშია. დეკემბრის აჯანყების განადგურება მოსკოვში. განაპირა კუთხეებში ბრძოლა გრძელდება და კამო აწყობს „ნახალოვკის“ მუშათა უბნის თავდაცვას პლასტუნების თავდასხმისაგან. ამ დროს იგი სასწაულებრივ გადარჩა სიკვდილს.

იწყება ამ დიადი წლის ლიკვიდაციის ეპოქა. კამო არ ნებდება, იგი განაგრძობს ბრძოლას—ხანდახან პირდაპირ უიმედოს.

ღრმა და უსაზღვრო იყო მისი რწმენა მართალი საქმის გამარჯვებისა.

შემდეგ იწყება თვითმპყრობელობის გამარჯვებისა ხანა, მთელი რუსეთი იფინება რეაქციონური შავრაზმელობით, ბრძოლა ნელდება, რევოლიუციონერების რიგებს ბევრი აკლდება, კამო კი განაგრძობს თავის ბრძოლას; იგი მრავალჯერ გაიქცა ციხიდან, გადადის შეტევაზე და ცდილობს შეანგრიოს ცარიზმის ბჭე. ანდა ამზადებს ახალ ბრძოლას, რისთვისაც გადმოაქვს საზღვარ გარეთიდან ჩვენში იარაღი.

რეაქციის სიბნელეში კამო იწვის ბრძოლის ნათელი ცეცხლით; იგი სულელი გონიათ.

რევოლიუციის სახელისთვის იგი იგონებს სულელობას ბერლინსა და თბილისში. იგი ინარჩუნებს თავის თავს და ხელ-ახლავ იწყებს ბრძოლას იგი ან ციხეში ზის ან და განუწყვეტლივ იბრძვის.

ასეთია კამო მას შემდეგ, რაც მას თავისი თავი ახსოვს, ამ უაზრო შემთხვევითი სიკვდილის დღემდე. ასეთი მახსოვს მე იგი 1903 წლიდან. იგი აქტიურია, იგი იბრძვის, იგი საქმიანობს არა მარტო აღფრთოვანების წუთებში. იგი დაუცხრომელია მაშინაც კი, როდესაც ირგვლივ სამარისებური სიჩუმე მეფობს. არის თუ არა კიდევ ჩვენში მისი მზგავსი.

იგი ერთად ერთი იყო. აი მისი მუშაობისა და მოღვაწეობის განსაკუთრებული თვისება.

და ეს მეამბოხე და მებრძოლი-ტერორისტი იყო ისეთი ნაზი, ისეთი უბრალო და ყოველივეს გულთან ახლო მიმტანი. უსაზღვროთ უყვარდა მას ამხანაგები, განუზომლად სწამდა მას, ადამიანები. და მასაც ასევე ექცეოდენ. როგორ უსაზღვროთ უყვარდათ ის მის მშობლებს-ნათესავებს, მეგობრებსა და ამხანაგებს. და არა მარტო მათ იგი უყვარდათ სხვა წრის და პოლიტიკური პარტიების პირებსაც. და ეს, ჩვენი ძვირფასი ამხანაგი კამო, დაიღუპა ასე უაზროთ. იგი აღარ არის ჩვენ შორის, აღარა გვყავს მუდამ ახალგაზრდა, მუდამ მშფოთარი და მებრძოლი კამო. საუკუნო იქნება მისი ხსოვნა ჩვენსა და ჩვენს პარტიაში.

მის მომდევნო თაობას ასეთი ანდერძი დარჩა: სწამდეთ რევოლიუციონური საქმე ისე, როგორც სწამდა მას, იბრძოლონ ისეთივე თავდადებით თავ დავიწყებამდე, როგორც იგი იბრძოდა, გაათბონ ეს რწმენა და ბრძოლა იმ გულწრფელი სიყვარულით, რომელიც ქონდა მას.

ჩვენ გვეყვარება ჩვენი ძვირფასი კამო, და მისი ხსოვნა მარადის იქნება ჩვენში.

შ. ელიავა.

კამო

კამო! ვინ არ იცის, ვის არ სმენია ეს სახელი, არა თუ საქართველოში, და მთელი რუსეთის და საზღვარ გარეთის პარტიულ წრეებში?..

კამო! ვინ არ გაუტაცნია მის გმირობა სიმამაცეს, მას ორგანიზატორულ ნიჭს და გამჭრიახობას? კამოს ყოფა ცხოვრების ისტორია, მისი თავგადასავალი—ეს ხომ დაუჯერებელი ლამაზი ზღაპარია, ეს ნამდვილი რევოლიუციონური ლეგენდაა! გმირი, რომელიც გამარჯვებული გამოდის ყოველგვარი გასაჭირიდან და უსაშინელესი ხიფათიდან... მაშინაც კი, როცა ხელფეხში ბორკილებ გაყრილი გამომწყვდეულია ციხის კედელშუა—ის შიშის ზარსა სცემს თვითმპყრობელ ჯალათებს. არავინ იცის როდის გაგლეჯს ხუნდებს და ჩარკინულ სალტეებს დაამძვრენს თავს... ოთხჯერ სიკვდილ მისჯილი, ის მაინც ცოცხალია! მას ვერას აკლებს ნიკოლოზის კატორღაც... საშინელი განსაცდელის ჟამს, როცა მას სხვა თავის დასაღწევი საშუალება არა აქვს, ის იგონებს... სიგიჟეს. კამო ნამდვილი „გიჟია“! მის სიგიჟეს ადისტურებენ ბერლინის საუკეთესო პროფესორები და თფილისის ცნობილი ექიმები.. მან თავის დააღწია სახრჩობელას, მარა რა ფასით? რამდენი თავის დამცირება და თვით წამება, პირდაპირ ფიზიკური და სულიერი წამება მიუყენებია მას თავის თავისთვის 3—4 წლის „სიგიჟის“ დროს—ამას ვინ მოსთვლის? და მართლაც როგორი ზედმიწევნით უნდა ჰქონდეს შესწავლილი გიჟების ცხოვრება, რაოდენი უნარი და გამჭრიახობა უნდა ჰქონდეს, ან რამდენი მოთმინება, რომ წლები იჯდე საგიჟეში და სიმულიაციას ვერ მიგიხვდნენ? ეს მხოლოდ მაშინ გამოაშკარავდა, როცა ამხ. კოტე ცინცაძის დახმარებით ის ტფილისის საგიჟედან გაიქცა...

სწორეთ ოცი წელია, რაც მე მას ვიცნობ. ვიცნობ როგორც ყოველთვის გატაცებულს, მუდამ ბორგავს და მოუსვენარ მებრძოლს პროლეტარულ რევოლიუციისათვის. ის მუდამ გეგმებს აწყობდა, თუ რაიყო საჭირო და როგორ შეეძლო მისი განხორციელება. ხშირათ ეს გეგმა ფანტასტიურათ მეჩვენებოდა მარა გჯეროდა კი რომ ამ არაჩვეულებრივ ორგანიზატორის გაუკეთებელ მოუწყობელი არა დაურჩებოდა რა... 1903 1904 წლებში ის ეზიდება არა ლეგალურ ლიტერატურას თფილისიდან ქუთაისბათუმში. და აი ხედავ რომ კამოს ჩაუცვამს თფილისელი კინტოს ტანისამოსი, კალათით ხელში, რომელშიაც თავზე ხილეულობით ქვეშ კი ლიტერატურით—მოგვადგებოდა კარზე... მისთვის ქუთაისში მზადდებოდა სხვა და სხვა გვარი ყალბი პასპორტები (რომლებიც ნამდვილის ასლი იყო) იმისდა მიხედვით თუ როგორი სახე უნდა მიეღო მას. მაგალითად ერთხელ ის ღებულობს სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის დადიანის პასპორტს, ეწყობა ჩერქეზულ ტანისამოსში მილიციის პრაპორშჩიკის ეპოლეტებით და პირველი კლასის ვაგონით მეფის გენერლებთან ერთათ მიემგზავრება პეტერბურგში. ჩემოდნებით კი გადააქვს იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებანი...

ეს დაუცხრომელი მებრძოლი, პროფესიონალური რევოლიუციონერი რომლის სტიქია იყო ყუმბარა, ნაღმი აფეთქება, თავდასხმა და რომელიც თითქო უნდა ყოფილიყო მრისხანე, მკაცრი მეტყველების, გულჩათხრობილი,—წინააღმდეგ ამისა ის იყო განსაკუთრებული ნაზი სულის და კეთილი გულის პატრონი.. მას საზოგადოების ფართო წრეები იცნობდა და მოპოებული ჰქონდა საყოველთაო ნდობა და პატივისცემა... ამხანაგებთან გულახდილი და „პირში მთქმელი“, კამო განსაკუთრებული სიყვარულით და მეგობრული განწყობილებით სარგებლობდა,

კამოს მხოლოთ დაბალი სწავლა ჰქონდა მიღებული და ეს მას ყოველთვის საწყენათ რჩებოდა. 1918 წლის დასაწყისში, როცა ვილჰელმის ჯარები შემოესია რუსეთს და საბჭოთა მთავრობა საფრთხეში ჩავარდა, ის თავდავიწყებით გაექანა მოწინავე პოზიციებზე. გერმანელებთან ომის გათავების შემდეგ ის ბრუნდება სამშობლოში, მაგრამ მას ვერ დაევიწყნა ერთი შემთხვევა, ეს ის, რომ ვიღაც ჯარის უფროსმა მას „безграмотный комиссар“-ი უწოდა... ეს მოუსვენარი რევოლიუციონერი - პრაქტიკი ჰპოულობს დროს სწავლისათვის. ამხ. ვასიკო წივწივაძის ხელმძღვანელობით ის რაღაც ერთ წელში გადის გიმნაზიის ექვსი კლასის კურსს. შემდეგ სწავლაზე გული უცრუვდება, მიდის რუსეთში და ცხოველ მონაწილეობას იღებს სამოქალაქო ომში.

1920 წელში რუსეთიდან ის მიემგზავრება დიდი დავალებით სტამბოლში, მაგრამ ტფილისში გამოვლისას ის იცნეს და დაატუსაღეს მენშევიკებმა. 2—3 თვის შემდეგ მას ანთავისუფლებენ და ისევ რუსეთში აბრუნებენ.

ამ უკანასკნელი 3—4 თვის განმავლობაში ის ჩემი ახლო თანამშრომელი იყო. ყოველდღე რამდენჯერმე შემოდიოდა საქმეების გამო და შემომჩივლებდა „თუ საქმე არ მიდიოდა ისე, როგორც მას სურდა“. მეტად ბრაზდებოდა, როცა ამჩნევდა საბჭოთა დაწესებულებებში ბიუროკრატიზმის ნიშნებს... სწორეთ იმ საბედისწერო დღეს მან უთხრა ერთ ამხანაგს—ასი წელი უნდა გავძლო, ვინაიდან ღვინოს მე არა ვსვამ, ხორცს არ ვჭამ და სავსებით ნორმალურ ცხოვრებას ვატარებო... და აი სრულიად შემთხვევით და უბრალოთ ეს გმირი, ეს უმაგალითო რევოლიუციონერი ლევს სულს ვერის დაღმართში ავტომობილზე დატაკების დროს. „კაცი ზღვას“ გადაურჩა და ცვარმა დაახრჩოვო—ამაზე ითქმის.

ჭეშმარიტათ, რომ „უდროო იყო შენი სიკვდილი“ ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო კამო!

მარა შენი საქმენი, მართლა რომ საგმირონი, მუდამ სამაგალითო იქნება შენი ღრმათ დამწუხარებული ამხანაგებისათვის.

ბარონი.

პროლეტარული რევოლიუციის ვეტერანის ხსოვნას

კომუნისტურ პარტიის ფოლადის რიგებს გამოაკლდა დაუღალავი მებრძოლი, აღტყინებული რევოლიუციონერი, პროლეტარულ რევოლიუციის ერთი საუკეთესო შვილთაგანი ამხ. კამო.

კატორღა, გადასახლება, ციხე... რამდენჯერმე მისჯილი ჰქონდა სიკვდილით დასჯა.. გაიქცა... წამება... აი რამდენიმე სიტყვით რევოლიუციის ვეტერანის ცხოვრებას მთელი ისტორია.

კამომ არ იცოდა პირადი ცხოვრება. ახალგაზრდობიდანვე იგი განუყრელად დაკავშირებულია პარტიასთან, რევოლიუციონურ ბრძოლასთან, მუშათა კლასთან...

15 ივლისს, დილით, მხიარული კამო ტფილისის კომიტეტში ავსებს ანკეტას...

„გამაგზავნეთ ახალგაზრდათა შორის სამუშაოთ, მე იმათ ავზრდი რევოლიუციონურ ყაიდაზე, მე თქვენ მოგიმზადებთ ახალგაზრდა, გაფოლადებულ კომუნარების კადრს“.—ამბობდა კამო.

ჰკითხულობ მის ანკეტას: კითხვა: რა და რა სპეციალობა იცის? პასუხი: რევოლიუციონერი.

და ეს სწორედ ასეც არის. 1901 წლიდან ამხ. კამო არის დაუცხრომელი, შეუდრეკელი, უკეთესი-უკეთესთაგან სოციალურ რევოლიუციის მომავალ გამარჯვებაში შეურყეველი, რკინის რწმენით, პროლეტარების ერთგული მეგობარი მეფობის რეაქციის მძიმე წლებში და რევოლიუციონურ გამარჯვებათა ბედნიერ დღეებში.

ისტორიის ასპარეზიდან ჩამოცილებულ „მენშევიკურ“ დემოკრატიას შეუძლია იამაყოს იმით, რომ მისი ციხეებიც იყვნენ გამზადებულნი ამხ. კამოს სამსახურად...

დღეს „დემოკრატიას“ და მასთან ერთად მუშათა კლასის ყველა მტრებს შეუძლიათ იზეიმონ ასეთი იოლი გამარჯვების გამო: საბედისწერო, დაუნდობელმა შემთხვევამ გამოაცალა ჩვენს რიგებს შეურიგებელი დაუცხრომელი მათი მტერი.

მაგრამ ამაოდ.. პროლეტარიატმა დაკარგა ერთი თავისი ერთგული ამხანაგთაგანი, მაგრამ, როგორც ძლევამოსილი მამოძრავებელი ძალა რევოლიუციისა, პროლეტარიატი, როგორც კლასი დარჩა. ცხოველმყოფელი და გაუქრობელია ის დიადი იდეა, რომელსაც 20 წელზე მეტი ემსახურებოდა ამხ. კამო.

დიდი დანაკლისია...

ვერ ურიგდები ამ საშინელ აზრს. აღარ არის ჩვენ შორის ძვირფასი ამხ. კამო.

დაბლა დავხაროთ თავები ამ დიდი რევოლიუციონერის საფლავის წინაშე.

საუკუნო ხსენება პროლეტარულ რევოლიუციის ვეტერანს და დიდება მომავალ ბრძოლისათვის განმზადებულთ.

რუბენი.

18 ივლისს, სამშაბათს, საღამოს 6 საათზე სასახლის სპარსულ დარბაზში

შესდგება მორიგი სხდომა

სრულ. საქართვ. ც. აღმასკომის პრეზიდიუმისა

მდივანი თ. კალანდაძე

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი

გადავიდა

გარიათინის ქუჩაზე № 5, უმაღლეს სასოფლო სამეურნეო კურსების შენობაში, შესავალი სადარბაზო კარებიდან.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი.

(3—1)

ამხ. კამოს ხსოვნას

არ გინდა შეურიგდე იმ აზრს, რომ საყვარელი კამო აღარა გვყავს. ეს საშინელი ამბავი მით უმეტეს არ გინდა დაიჯერო, რომ ის მოხდა მოულოდნელათ, უცაბედათ და უკუღმართად. როგორ შეიძლება წარმოიდგინო, რომ კამო, რომელიც გადაურჩა ათეულ წლების ბრძოლის საშინელებას და ჯოჯოხეთს, ასე უფერულათ გამოესალმა წუთი სოფელს მის თვის საოცნებო და სანეტარო დროს.

ბევრი მსხვერპლი გაუღია კომუნისტურ პარტიას, ბევრი დანაკლისი უნახავს მას, მარა დანაკლისი ამხ. კამოს სახით ჩვენი პარტიისათვის უდიდესი და უმძიმესია.

კამო იყო შეუდარებელი ორგანიზატორი, ინფორმატორი და უდიდესი კონსპირატორი. არც ერთი დიდი და თანაც ყველაზე უფრო სახიფათო საქმე უმისოთ პარტიაში არ გაკეთდებოდა. და აი კამოს გარეგნული სახეც ასეთი დავალებების შესრულებების დროს სულ სხვა და სხვა ფერათ იცვლებოდა ხოლმე. ვის არ უნახავს განსვენებული, განსაკუთრებით ძველ მის ამხანაგებს შავი რეაქციის ხანაში, თუ სტუდენტის თუ აფიცრის ფორმაში, ხან კიდევ მდიდრის ან ღარიბის ტანისამოსში. კამოს ჩამოსვლა პროვინციაში ეს აქაური ამხანაგებისათვის რაღაც სანეტარო რამ იყო ხოლმე, რადგანაც მას ჩვეულებრივათ თან მოყვებოდა ინფორმაცია, არა ლეგალური ლიტერატურა და ან კიდევ იარაღები. ვის არ უნახავს კამოს „ხილის" კალათები, სადაც ზევიდან ხელოვნურათ მოლაგებული იყო ხოლმე ხილი, ქვევით კი მჭიდროთ და ფაქიზათ ჩაწყობილი ლიტერატურა ან იარაღები. ამ მუშაობას ის სისტემატიურათ აწარმოებდა და ამხ. კამომ ძალიან კარგათ იცოდა, რომ ასეთი საქმეებისთვის თუ ის ხელში ჩაუვარდებოდა მის მტრებს დიდხანს მუსაიფს არ დაუწყებდენ მას. მარა მიუხედავათ ამისა, ამნაირ სახიფათო საქმეების ასრულების დროს ამხ. კამო სრულიად უცვლელი, ხუმარა და მხიარული იყო ხოლმე. მან არ იცოდა რა იყო შიში. პირადი ცხოვრება მისთვის არ არსებობდა. ის მთელი თავისი ბუნებით, მოქმედობით და არსებობით ეკუთვნოდა პარტიას და მის გარეშე თავის თავს ვერ ხედავდა. არასოდეს არ დამავიწყდება ერთი მოგონება განსვენებულის ცხოვრებიდან ეს იყო პეტროგრადში, 1907 წ. მაშინ, მიუხედავათ იმისა, რომ რეაქცია რუსეთში თავის გამარჯვებას დღესასწაულობდა, მაინც მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო ელოდენ სახელმწიფოს ფინანსიურ კრახს, რაც დიდ იმედებს იძლეოდა რევოლუციისათვის. და აი სწორეთ რუსეთის მონარქიის ასეთ გაჭირვების დროს დახმარება განიზრახეს გერმანიის ცნობილმა ბანკირებმა მენდელსონ, შლეზინგელ, ვეთხაიმმა. საოცარი იყო განსვენებული ამ ამბის გაგების დროს. ის ჯავრობდა, არ ცხრებოდა და სულ იმის ფიქრში იყო თუ რა საშვალებით შეიძლებოდა, რომ ეს დახმარება აეცდინა რუსეთის თვითმპყრობელობისათვის. ერთ მშვენიერ დღეს მეუბნება: ბიჭო, იცი, რა განვიზრახე?! წავალ ბერლინში და იქ ნახვის დროს ჯოჯოხეთის მანქანის საშვალებით, რომელიც ტანზე მექნება, ავაფეთქებ და სიცოცხლეს მოუსპობ მენდელსონს და კომპ. მე დავიღუპები, მარა უმთავრესი ის არის, რომ მათ დავღუპავ და ამნაირათ რუსეთის რევოლუციის საქმეს ცოტათი მაინც გავაკეთებო. იმდენათ დიდი იყო ამხ. კამოს რევოლუციონური გატაცება, რომ ის ერთ დროს ამას სერიოზულათ ფიქრობდა და განზრახვას კიდევაც მოიყვანდა სისრულეში, რომ ამის ნებართვა მიეღო ორგანიზაციისაგან. ჯერ, სანამ ეს მოულოდნელი საშინელება არ განელებულა, არ არის დრო განსვენებულის რევოლუციონური მოღვაწეობის დაწვრილებითი აღნუსხვის. მოვა დრო, როდესაც მადლიერი პარტია ღირსეულათ შეამკობს კამოს სახელს მისი რევოლუციონური წარსულით და მოგონებებით.

დღეს კი ცივ უგულო მიწას უნდა მივაბაროთ ჩვენი საყვარელი კამო.

დღეს უკანასკნელათ შევხედავთ შენს სახეს, ძვირფასო კამო! ამ დღეს ყველა შენი ძველი ამხანაგები, რევოლუციონურ სიმაგრეს ვერ გამოიჩენენ და აქვითინდებიან, ატირდებიან. ტირილი და ცრემლები შენთვის საჭირო არ არის, მარა შენი ღრმათ დამწუხრებული ამხანაგებისათვის კი ეს საჭიროა შენთან უკანასკნელათ გამოსათხოვებლათ.

— მშვიდობით, საყვარელო კამო! შენი სახელი და სახე შენი ამხანაგების გულში სამარადისოთ დარჩება აღბეჭდილი.

გ. ვაშაძე.

თავის მართლება არ მინდა...

(ამხ. კამოს)

დღეს თბილისის მშრომელი მასსა მწარე ცრემლებით დასტირის იმ ადამიანის ჯერ კიდევ გაუციებელ ცხედარს, რომელიც შეიქნა მსხვერპლი ვერის დაღმართზე უნებლიეთ შემთხვევისა. მშრომელი ხალხი გლოვობს ძველს რევოლუციონერს, პარტიული წრეები—თავის თანამებრძოლ ამხანაგსა და მეგობარს, მე ვხედავ ხალხის ცრემლებს განსვენებულის ცხედარზე დაფრქვეულსა და ეს ჩემს გულს უფრო მეტი მწუხარებით და სევდით ავსებს... ამ საერთო მწუხარებაში ჩემი მდგომარეობა ყველაზე უფრო სამწუხაროა და აუტანელი, მიტომ რომ მე შევიქენი უნებლიე დამნაშავე ასეთი ადამიანის დაღუპვისა.

თავის გამართლება არ მინდა და ამისათვის არ ვწერ ამ წერილს. მაგრამ არ შემიძლია ჩემი გულის ტკივილი და უსაზღვრო მწუხარება არ შეუერთო ხალხის სევდას და არ ვთქვა, რომ ასეთი დიდი ადამიანის დაკარგვა მართლაც დიდი დანაკლისი არის მუშათა კლასისათვის. უბედო ბედმა მე გამხადა ხალხის მწუხარების მიზეზად. მაგრამ რომელი შეგნებული ადამიანი ჩაიდენდა ასეთს საქმეს რომ აქ მოულოდნელს შემთხვევას არ ჰქონოდა ადგილი.

პირადათ მას არ ვიცნობდი, მაგრამ ჩემს ამხანაგებისა და მუშათა წრეებში ძლიერ ხშირად მსმენია ამბები მისი საგმირო და რევოლუციონური აქტების შესახებ. რამდენად თავზარდამცემი და სევდის მგვრელი იყო ჩემთვის, როდესაც მიხეილის საავადმყოფოში, სადაც მივიყვანე განსვენებული, გავიგე, რომ მოულოდნელი შემთხვევის მსხვერპლი იყო ჩვენს წრეებში სახელგანთქმული და სახელოვანი ამხ. კამო.

ძვირფასო ამხანაგო! მუხლს ვიდრეკ შენს ძვირფასი ცხედრის წინაშე და გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ცრემლებს ვაფრქვევ შენს ცხედარს. რა ვქნა მე უბედურმა, რომ არ შემიძლია ჩემი უნებლიე დანაშაული გამოვასწორო და დაგიბრუნო სიცოცხლე, რომელიც ასე ძვირფასი და საჭირო იყო ჩვენი მშრომელი ხალხისათვის.

მაპატიე სახელოვანო რევოლუციონერო, ჩემი დიდი და გამოუსწორებელი დანაშაული შენს წინაშე.

შოფერი კოლა დვალი.

ძვირფას ამხ. კამოს

(მუშის ხმა).

მოგვიკვდა კამო. იგლოვეთ თბილისის მშრომელნო. კამო სულით მაღალი, კამო დაუღალავი რევოლუციონერი, მუშა ხალხისთვის თავდადებული, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ენერგიით სავსე, რომელმაც გააკეთა ბევრი და ბევრს კიდევ მოველოდით მისგან, კამო გამომწრთვნელი და აღმზრდელი ბევრი საუკეთესო რევოლუციონერის. კამოს, რომელსაც არ უყვარდა მოსვენება, და არც დაღლილობა სჩვეოდა, აინტერესებდა მხოლოდ რევოლუციის საბოლოოთ გამარჯვება. აღარ გვყავს კამო. იგლოვეთ მშრომელნო თქვენთვის თავდადებული და ტრაღიკულათ მკვდარი კამო.

ვახ. კვინტრაძე.

არაჩვეულებრივი რევოლუციონერი

(ამხანაგ კამოს ხსოვნას)

კამო...

ამხ. კამო,—დღეს საქართველოში თითქმის ვერ ნახავ ისეთ რევოლუციონერს, რომელსაც არ სმენოდეს ეს სახელი.

...მუდამ მოძრავს, მოუსვენარს, „კამო"-ს ფსევდონიმის ქვეშ ამოფარებულ ამხ. სიმონს იცნობს საქართველოსა და ამიერ კავკასიის რევოლუციონური წარსულით მდიდარი ისტორია; კამოს იცნობს მრავალ აჯანყება გამოსვლების მომხდენი დიდი პროლეტარული რუსეთი; როგორც დიდ რევოლუციონერს, კამოს იცნობს უცხოეთიც.

ამხ. კამოს ჩვენ ვიცნობთ როგორც გამოჩენილს, ნიჭიერ ორგანიზატორს წარსულში პარტიასთან არსებულ პარტიზანულ ძალებისა; ამხ. კამოს ტურიასთან (კოტე ცინცაძე) ერთად ჩვენი რევოლუციონური ისტორია იცნობს, როგორც პარტიზანულ გამოსვლების საუკეთესო მონაწილეს.

— ამხ. კამომ 21 წლის წინეთ, ერთ ხელ ადმართული, მრავალჯერ ციხეებში და ჯოჯოხეთში გატარებული, სისხლში შეღებილი კომუნიზმის წითელი დროშა, შეუბღალავათ, წმინდათ მოიტანა და ჩააბარა კომუნიზმის ჩვენ დღეს ახალ თაობას, ახალგაზრდა რევოლუციონერებს.

ამხ. კამო! რამდენ რამეს ეუბნება ეს სახელი რევოლუციონერს, ძველის დამსხვრევის მგრეველს, ახალ ცხოვრების მოტრფიალეს.

...ამხ. კამომ თავის მოწყობილ პარტიზანებით მრავალჯერ გამოგლიჯა მონარქიულ მეფის მთავრობას გაძარცვულ მშრომელ ხალხიდან ნაღლეტი ფულები და გადასცა რევოლუციონურ ორგანიზაციას. ამხ. კამომ სიცოცხლე მოუსწრაფა რევოლუციონერებზე მონადირე ჟანდარ პოლიციელებს; ამხ. კამომ გამოიხსნა მრავალჯერ ციხის ბნელ საკნებში ჩამწყვდეულნი, სახრჩობელის მომლოდინე რევოლუციონერები.

რამდენი ენერგია, მოხერხება და სიმამაცე, როგორი რევოლუციონური უნარი და გენიალობა იხატება ამ სახელში!

ამხ. კამოსთვის არ არსებობდა პირადი ცხოვრება, კერძო-ბედნიერება; ამხ. კამომ მისცა რევოლუციას, კომუნიზმს ყოველისფერი ის რაც მას ებადა.

ამხ. კამომ თავის განვლილ რევოლუციონურ ბრძოლის 21 წლის სიგრძე აიტანა მრავალი წამება, ციხე-კატეგორიებით შექმნილი.

თავის გაბედულობით, უჩვეულო მოხერხებით და სიმამაცით ამხ. კამომ მრავალჯერ აიშორა სიკვდილის დაუნდობელი ცელი და დაუსხლტა მტრებს ხელიდან.

ამხ. კამო პიონერი იყო ამიერ კავკასიაში არსებული წითელი პარტიზანული ძალებისა.

მაგონდება 1911 და 12 წლები, როცა ის ჩემთან სამსახურში, ბიბლიოთეკაში შეუმჩნევლად სწრაფათ შემოიპარა, გამიხმო ცალკე, მთხოვა მიმეცა ნება ჩემთან ბინაზე დროებით დარჩენისა, სადაც მან გამიზიარა ამავე დროს თავისი გეგმები პარტიზანული აქტების მოხდენისათვის... ფულები გვჭირია, ძმავ ფულები...

ლენინი, ბოგდანოვი, ლუნაჩარსკი და ზინოვიევი,—ეს იმედები გაუდმებით მფეთქავი გულები ჩვენი მომავალი პროლეტარული რევოლუციისა, საზღვარ გარეთ გარდახვეწილნი თურმე ეხლა საშინელ მატერიალურ მდგომარეობაში არიან და ეშლებათ გეგმები ორგანიზაციულ ლიტერატურული მუშაობის. დევნილ, იატაკ ქვეშ ჩამწყვდეულ ჩვენს პარტიას არა აქვს საშუალება მატერიალურათ უზრუნველ ჰყოს მათი რევოლუციონური მუშაობა.

მაგონდება მეფის მთავრობის მიერ მოწყობილი გასამართლება 1912—13 წლებში, როცა მას განგებ მოგონილი და 5 წლის განმავლობაში ჩატარებული „სიგიჟე" გაუგეს, „დამნაშავის" სკამზე დასვეს, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს და სიკვდილის თოკს უმზადებდენ.. კამო აქ არ შეკრთა, ის აქ საშინელი წამების მოლოდინით არ დაფრთხა, მან არ დაჰკარგა რევოლუციონერის გაბედულება და უკანასკნელ კითხვაზე:—„... რომელია თქვენი სარწმუნოება?"—მკვირცხლათ, უპასუხა:—„... ჩემი ღმერთი, ჩემი სარწმუნოება სოციალიზმი, კომუნიზმია! მე სხვა ღმერთი არა მყავს! სხვა სარწმუნოება არა მაქვს!.." ამაზე სწერდენ მაშინ მთელი ამიერ-კავკასიისა და რუსეთ-ევროპის ბურჟუაზიულ-ლიბერალური გაზეთები.

ამხ. კამო..

რა საშინელი და ულმობელია სიკვდილი გმირმა, რომელმაც თავი დაალწია მრავალ სასიკვდილო ხაფანგებს, საშინელ დროებას, დღეს მსხვერპლი ხდება უბრალო ბრმა შემთხვევისა... ეს პირდაპირი ტრაღედია არის არა მარტო მისთვის, არამედ ყველა ამხანაგებისთვისაც.

მოისვენე მრავალ წამებულო რევოლუციონერო!

ჩვენში შენი ხსოვნა არას დროს არ წაიშლება.

სევასტი.

— კამო

როდის იყო ეს,—უხსოვარ დროში, თუ გუშინ? აქ იყო ეს, თბილისში—თუ უცნობს—უცხო ქვეყანაში?

ჭეშმარიტად უცნაურია წარსულის მოგონება!.. ნამდვილათ ვიცი, რომ ეს ახლო წარსულში იყო და არც სადმე უცხო ქვეყანაში, არამედ აქ, თბილისში!.. წარმტაცი იყო ის დრო!

ეს მაშინ იყო, როცა რევოლუციონერთა რიგები ძალიან მცირე იყო, ათეულებით დაითვლებოდა მხოლოდ! ჩვენც ახალგაზრდანი ვიყავით, ახალგაზრდა მოძრაობაში ჩართულნი!

მთის პატარა მდინარე, თოვლსავით წმიდა და ყინულსავით სპეტაკი.. ასეთი იყო ჩვენი გული!.. ცოტანი ვიყავით, და ერთმანეთს რომ გავიცნობდით თვალები ბრწყინდებოდა...

იმ დღეს, კონსპირატიულ ოთახში არალეგალური ლიტერატურის „ბიბლიოთეკაში" უნდა გამეცნო. წარმოდგენილი მქონდა, რომ ის ხანში შესული, წვერებიანი, მოღუშული და სერიოზული სახისა უნდა ყოფილიყო...

ცოტა ლოდინის შემდეგ ოთახში შემოვიდა ყმაწვილი, წაბლის ფერი თვალ წარბი, ჩამჯდარი სქელი კისერით და [illegible] მარდი თვალებით. ეს არის კამო!—გამაცნეს ამხანაგებმა.

ბიჭო, ჩვენ თითქო ერთმანეთს ვიცნობთ?.. გამოვიკითხეთ ერთმანეთი და მეზობლები აღმოვჩნდით! ძალიან გავეხარდით, სულ ვიცინოდით!.. კამოს თან პატარა ჩანთა ჰქონდა, პატარ პატარა წითელ ყდიანი წიგნებით სავსე.

— ბიჭო, შენ ხომ სიკო გქვია, კამოს რათ გეძახიან?—შევეკითხე.

— რა, ვიცი! სულ რუსულისა და სოსოს ბრალია!.. დარცხვენილათ ცხვირში დუდუნით მომიგო კამომ.

შემდეგში ერთ ამხანაგს ვკითხე, რას ნიშნავდა სიტყვა კამო, და რათ ეძახდენ მას კამოს? აღმოჩნდა რომ ამ სახელსაც თავისი ისტორია ჰქონია.

კამო „ვოლნოოპრედელიაუშჩიი"-თ ემზადებოდა. მისი მასწავლებელი იყო სოსო (ჯუღაშვილი-სტალინი) როცა კამო გაკვეთილს ამზადებდა სოსოსთან ოთახში შევიდა ერთი ამხანაგი და რაღაც საინტერესო ამბავი მოუყვა სოსოს; დაინტერესებული კამოც ჩაერია ლაპარაკში და რადგან საუბარი რუსულ ენაზე იყო, ისიც რუსულათ შეეკითხა: „კამო, სლუში, კამო?.. რუსული სიტყვა „кому"-ს მაგიერათ.

რასაკვირველია საუბარი ამ შეკითხვაზე შეწყდა და ჩვენ კამოს სიცილ ხარხარი დააყარეს „კამო, სლუში, კამო"?... დასცინოდა სოსო, ამის შემდეგ სოსოც მას სხვა სახელს არ უძახდა თუ არა კამოს.

მალე „ვოლნოოპრედელიაუშჩიი" მზადებას სოსომ თავი გაანებებინა კამოს და სულ სხვა დარგისთვის მოამზადა.

ეჰ!.. ნეტარია წარსული და წარსულის მოგონება! კამოც წარსულშია! მისი მომავლის ფურცლები კი აღარ დაიწერება.. და მერე მისი წარსული არ კმარა მთელი ტომების დასაწერათ?

ენერგიული, დაუდეგარი მოუსვენარი, მუდამ სხვა და სხვა გეგმებით სავსე, გატაცებული და შეუპოვარი.

მუდამ ოპოზიციაში მყოფი, მუდამ თავისი ფანტასტიური გეგმით, მუდამ უკმაყოფილო და მუდამ იმედით სავსე!.

კამო, ეს „პერმანენტული რევოლუციაა!.."

ვინ მოაწყობს პარტიულ კონსპირატიულ სტამბას?—კამო!..

ვინ იშოვის ბინას კონსპირატიულ კრებისთვის?—კამო!..

ვინ წაიღებს პარტიულ ლიტერატურას ბათომში, ბაქოში? -კამო!..

ვინ მოაწყობს სახელმწიფო ფულის ექსპროპრიაციას რევოლუციის საჭიროებისთვის?—კამო!.

კამო არა ლეგალური ლიტერატურით ხელში! კამო სტამბის შრიფტით ყარიბულათ გამოწყობილი!. კამო კვერცხებით სავსე კალათით, რომლის ძირში ბომბაა!..

დღეს ნახავ კამოს და ხვალ რომ შეხვდები ვეღარ იცნობ! ყარაჩოღლულათ ჩაცმული, წვერიც ძმა ბიჭურათ აქვს გაპარსული. მიდის ქუჩაზე კალათით ხელში და მილაზღანდარობს, შემთხვევით შეხვედრილ ძმა ბიჭებთან!

ჭეშმარიტად ლეგენდარული პიროვნება იყო კამო!..

და განა ცოტა ლეგენდა დადიოდა მის შესახებ?

თუმცა ასეთი შემთხვევა ეს სულ პირველათ იყო, გამოუცდელები ვიყავით მაშინ. არც ჟანდარმები იყვნენ დახელოვნებულნი. შუაღამისას მოვიდენ ბინის გასაჩხრეკათ და ერთი ამხანაგის დასაჭერათ. ოთახში მხოლოთ კამო დახვდათ. მაგრამ იმას არ ეძებდენ. იკითხეს ვისაც ეძებდნენ. კამომ უთხრა სასადილოთ არის წასული. აბა გაგვიძეხ წინ და მიგვიყვანე სადაც არისო კამოც გამოუძღვა, ხოლო იმდენი კონსპირაცია მაინც დაიცვა, ჟანდარმები ოთახში არ შემოიყვანა, გარეთ გააჩერა და შორიდან დაიძახა: გიორგი, გამოდი, გიცდიანო. ამნაირათ „დააჭერინა" კამომ ჟანდარმებს ამხანაგი. მუდამ მოძრავი, არა მარტო მოქმედებით, არამედ ფიქრებითაც! იმას მუდამ თავისი საკუთარი აზრი ჰქონდა, საკუთარი გეგმა.

და ეს ფიქრები, ეს გეგმები, როგორც სკასთან ფუტკარი, ისე დაფუსფუსებდენ მის თავში!..

მოგვიყვებოდა რომელიმე თავის გეგმას, ძალიან რთულს, შეუძლებელს... იტყოდი გიჟია ეს კაცი ნამდვილათ!.. და გავიდოდა ხანი, კამო დახატულ გეგმას ასრულებდა!..

ასეთი იყო კამო!..

მას არ უყვარდა „თეორეტიკოსები" მაგრამ მუდამ მათი გამტანი იყო და არც დაარღვევდა დისციპლინას.

— ეგ ოჯახქორები ჩამჯდარან თავიანთ კაბინეტებში და ასე ჰგონიათ საქმე ამით გაკეთდება!..

იშვიათია ისეთი მრავალ განცდათა რევოლუციონერის ნახვა, როგორიც იყო კამო.

ნაძალადევში 1905 წელს, რომ 6 ჯერ თოკით ჩამოკიდეს კამო ყაზახებმა დასახრჩობად, აწვალეს და ვერ დაახრჩეს.

თავს გაგიჟიანება, ბერლინის საგიჟეთში ყოფნა! მარტო ეს რათ ღირს!..

ციხე, კიდევ ციხე, ლტოლვა, არალეგალური ცხოვრება მუდამ, დევნა და სხვა ამისთანები...

მისი ბიოგრაფია ფრიად საინტერესო და უსათუოდ აღსანიშნავია რევოლუციონურ ისტორიისათვის!

მაგრამ, ეს შემდეგისთვის იყვეს..

ახლა კი მუხლმოდრეკით ვეამბორები შენს შუბლს და უკანასკნელად გეუბნები; მშვიდობით ძვირფასო მეგობარო, კამო..

ძველი მეგობარი.

სამგლოვიარო დეპეშები

მოსკოვი. 16 ივლისი თბილისი. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს. ორახელაშვილს ასლი არუსიაკ ცინცაძეს.

თავზარი დაგვცა ამხ. კამოს ტრაგიკულმა სიკვდილმა. ძალიან ვწუხვართ, რომ პირადათ არ შეგვიძლია გამოვეთხოვოთ სახელოვან მებრძოლსა და რევოლუციონერს ამხ. კამოს ნეშტს და მონაწილეობა მივიღოთ მის დასაფლავებაში. მუდამ ჩვენში დარჩება მისი ბრწყინვალე ხსოვნა.

ნაზარეტიანი. ლოლობერიძე.

ბორჯომი. 16 ივლისი. ღრმა მწუხარებით გავიგეთ ჩვენ რევოლუციის ძველი ვეტერანის ამხ. კამოს უდროოთ დაკარგვა. გამოვსთქვამთ საქართველოს პროლეტარიატის წინაშე ულრმეს გულისტკივილს მის რიგებიდან ამ ახალი დანაკლისის გამო. ღრმად გვწამს, რომ ამხ. კამოს ხსოვნა მუდამ წმიდად იცოცხლებს არამც თუ საქართველოს, არამედ რუსეთის პროლეტარების გულშიაც კი.

რ. კ. პ. ც. კ. წევრები **ვოროშილოვი და ფრუნზე.**

აბასთუმანი. 16 ივლისი. რუსეთის კომპარტიის ამიერ კავკასიის კომიტეტს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტს.

ამხ. კამოს უდროოდ გარდაცვალება საგრძნობი დანაკლისია არა მარტო ამიერ კავკასიის, არამედ მთელი საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის კომპარტიისათვის. მიიღეთ ღრმა გულწრფელი თანაგრძნობა. არა ლეგალური მუშაობის გმირი, კომუნიზმისათვის მებრძოლის, ოთხი წლის სამოქალაქო ომის გმირის—საუკუნო ხსენება.

დაღესტანის ცენტრალური აღმასკომის თავმჯდომარე— **სამურსკი.**

ქუთაისი. გაზ. „კომუნისტის" რედაქციას.

კომუნისტური პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტი და სამაზრო აღმასკომი გამოსთქვამენ ულრმეს მწუხარებას დაუღალავ მებრძოლის და რაინდი რევოლუციონერის ამხ. კამოს ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

ქუთაისის სამაზ. პარტკომის მდივანი—**ბახტაძე.**

აღმასკომის თავმჯდომარე—**ლორთქიფანიძე.**

აბასთუმანი 16 ივლისი. ჩვენ, აბასთუმანში სამკურნალოდ მყოფი კომუნისტები გამოვსთქვამთ ძველი რევოლუციონერის, ამხ. კამოს უდროვოდ დაკარგვის გამო ჩვენს ღრმა მწუხარებას.

კომუნიზმის გამარჯვებისათვის მსოფლიო ფრონტზე გადამწყვეტ ბრძოლის მომენტში შეურყეველი, კომუნიზმისათვის ბრძოლაში გამობრძმედილი აქტიურ მებრძოლის დაკარგვა კომუნისტების გულში ბადებს დიდ მწუხარებას და ამავე დროს ახარებს რევოლუციის მოსისხლე მტრებს. მაგრამ როგორ ძნელიც არ უნდა იყოს ჩვენი ამხანაგის დაკარგვა, ის მხოლოდ უმეტესად გვაკავშირებს ჩვენ და გვახალისებს მსოფლიო რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ, აბასთუმანში მყოფი ამხანაგები, ჩვენის მხრივ ფიცს ვსდებთ, რომ მთელ ჩვენ ძალებს შევსწირავთ რევოლუციის გამარჯვებას და იმ იდეების დაგვირგვინებას, რომელსაც ემსახურებოდა ჩვენი დაღუპული მებრძოლი ამხ. კამო.

ამხ. კამო, შენი სახელი დაუვიწყარი იქნება სოციალურ რევოლუციისათვის მებრძოლ გმირების სახელებთან ერთად.

გიორგი ჩხეიძე, რაჟდენ ჯორბენაძე, დათიკო ნასარიძე, გალაქტიონ ნუცუბიძე, სევასტი თალაკვაძე, ხ. გუბილი, კ. ბერძენიშვილი, ვარო ჯაფარიძე, ლოლა წულუკიძე, ვარლამ ძნელაძე, ნატაშა ქიქოძე, ან. ახათიანი, ელ. ხუნდაძე, ს ლეკვეიშვილი არ. მირზაბეკოვი, ვართან ავაკოვი, ვასო არეშიძე.

ბორჯომი. (16 ივლისი). ბორჯომის რაიონის პასუხისმგებელ მუშაკნი, გაიგეს რა მშრომელთა განთავისუფლებისთვის ძველი მებრძოლის ყველასაგან საყვარელ ამხ. კამოს ტრაღიკული გარდაცვალება, უერთდებიან საერთო მწუხარებას, რომელიც მოევლინა კომუნისტურ პარტიას, მშრომელთა ძალაუფლებისთვის უბადლო მებრძოლის დაკარგვით. ამხანაგ კამოს სახელი უკვდავი იქნება ბორჯომის ამხანაგებს შორის.

ბორჯომის რაიონის პასუხისმგებელი ამხანაგები.

ამხ. კამოს დაობლებულ ოჯახს.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის თანამშრომელნი, გამოსთქვამენ რა თავის ულრმეს მწუხარებას კამოს ტრაღიკულ გარდაცვალების გამო, გთხოვენ, თქვენს მწუხარებას და ნაღველს, დაგვრთოთ ჩვენიც, და ნიშნად მარადის ხსოვნისა, ვდებთ პირობას შევინახოთ ამხანაგ კამოს სახელზედ ერთი უმწეო ბავშვი.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე **ტ. ხოშტარია.**

პასუხისმგებელი მდივანი **ხ. მაჩიტაძე.**

რადიო-დეპეშები

(„კ ა ვ რ ო ს ტ ა")

გერმანიის ამბები

გერმანია

პროფკავშირების მოთხოვნილება.

ნაუენი. 15 ივლისი (რადიო). გერმანიის პროფკავშირთა აღმასრულებელი კომიტეტი დარწმუნებულია, რომ სოციალისტური პარტიები წინააღმდეგი იქნებიან რეიხსტაგის მიერ რესპუბლიკის თავდაცვის კანონპროექტის იმ სახით მიღებით, როგორც ეს შეტანილ იქნა მეორედ წაკითხვის დროს. კომიტეტი დაჟინებით მოითხოვს დამოუკიდებლების კაბინეტის კოალიციაში შეყვანას.

მემაღაროების გაფიცვის ლიკვიდაცია.

ნაუენი. 15 ივლისი (რადიო) შრომის მინისტრმა ბრაუნმა შესძლო მოეხდინა შეთანხმება მაღაროების პატრონებისა და მაღაროს მუშებს შორის სამუშაო ქირის საკითხში, რასაც მოჰყვა გაფიცვის დაბოლოება.

ბავარიის ლანდტაგში.

ნაუენი, 15 ივლისი (რადიო). ბავარიის ლანდტაგის საბიუჯეტო კომისიაში, სოციალისტების დადგენილების წინააღმდეგ, მიღებულია სურვილი სახელმწიფო წარმოების აქციონერულ საზოგადოებად გადაქცევის შესახებ.

მე—მე არა ვარ...

ბორდო. 15 ივლისი (რადიო). ბავარიის სახალხო პარტიის ლიდერმა გეიმ განაცხადა, რომ მას არასოდეს არ ჰქონია მოლაპარაკება პრინც რუპრეხტთან, ბავარიაში მონარქიის აღდგენის შესახებ, რასაც ადგილი ექნებოდა მხოლოდ ჩრდილოეთ გერმანიის სამხრეთიდან გამოყოფის დროს.

კოალიცია.

ბორდო. 15 ივლისი (რადიო). ცენტრმა და დემოკრატებმა სოციალ-დემოკრატებთან მოლაპარაკების დროს ვერ მიაღწიეს ვერავითარ შედეგებს. მაგრამ განუცხადეს სოციალისტებს, რომ არ დასთანხმდებიან მთავრობის კოალიციის გაფართოებაზე, განსაკუთრებით მარცხნით და წინადადებას აძლევენ სოციალისტებს (ალბად მეუმრავლე სოციალ-დემოკრატებს) შეურიგდნენ დამოუკიდებლებს.

ჰააგის კონფერენცია

ბორდო. 15 ივლისი. (რადიო) კრედიტების ქვე-კომისიამ რუსებთან მოლაპარაკების გაგრძელების შესახებ გამოიტანა დასკვნა, ანალოგიური კერძო საკუთრების ქვე-კომისიისა. რუსეთის დელეგაციის პროტესტზე კერძო საკუთრების და კრედიტების საკითხის შესახებ თავმჯდომარემ ავეცანამ განაცხადა, რომ კრედიტების ქვე კომისია არ იყო კომპეტენტიური ამ საკითხში და რომ რუსებს უფლება ეძლევა შემოიტანონ ახალი წინადადება. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ არავითარ ახალ წინადადებას ადგილი არ ექნება. დასასრულს ავეცანამ გამოსთქვა ის აზრი, რომ რუსები შეცდომას უშვებენ, როდესაც კრედიტების საკითხს უკავშირებენ სხვა საკითხებს. სახელმწიფოები მზად არიან მისცენ კრედიტები რუსეთს, რომელიც თავის მხრით მოვალეა იცნოს ვალები და უცხოელების საკუთრება.

კონფერენციის დახურვა.

ბორდო. 15 ივლისი (რადიო). ფიქრობენ, რომ კონფერენცია დაიხურება 21 ივლისს, ქვე-კომისიის მოხსენების მოწონების შემდეგ.

რუსეთის დელეგაციის გამგზავრება.

ბორდო. 15 ივლისი (რადიო). რუსეთის დელეგაცია დღეს გაემგზავრა ჰააგიდან. კრასინი მივიდა ბერლინში.

ჰააგა.

მოსკოვი. 14 ივლისი (რადიო). წინასწარი ცნობა ჰააგის თათბირის დაშლის შესახებ, გახდა თემთა პალატაში შეკითხვის საგნათ. ლლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ მთავრობას არ მოსვლია ოფიციალური ცნობა კონფერენციის დაშლის შესახებ. კონფერენცია მხოლოდ გაიყინა ერთ წერტილზე.

— გერმანიის გაზეთების უმრავლესობა ბეჭდავს ცნობებს კონფერენციის ჩაშლის შესახებ. გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი" ხაზს უსვამს ინგლისის ტაქტიკის შეცვლას თანახმად საფრანგეთის სურვილებისა. გაზეთი „როტე ფანე" იტყობინება, რომ საბჭოთა დელეგაციას არ მოუხრია ქედი კაპიტალიზმის წინაშე. გაზეთის აზრით საბჭოთა რუსეთი არის დღესდღეობით ერთ-ერთი შეურყეველი სახელმწიფო, რომელიც გარკვეულ პოლიტიკას აწარმოებს.

ბორდო 14 ივლისი (რადიო). კრედიტების ქვეკომისიამ რუსეთის დელეგაციის დაუსწრებლად, განიხილა რა შექმნილი მდგომარეობა, რომელიც გამოიწვია საბჭოთა დელეგაციის უკანასკნელ განცხადებამ, გადასწყვიტა მოიწვიოს სხდომა რუსეთის წარმომადგენლების მონაწილეობით, რათა გააცნოს მათ ქვე კომისიის დადგენილება.

წითელ რესპუბლიკაში

რუსეთ იტალიის ხელშეკრულების საკითხის შესახებ.

მოსკოვი 8 ივლისი. რომიდან მოსული ცნობებით, იტალიის გაზეთები აწერენ რუსეთ-იტალიის ხელშეკრულების წინასწარ უარყოფას იმ პროტესტებს, რომელნიც თითქოს განაცხადა გერმანიამ, იმის გამო, რომ ამ ხელშეკრულების ძალით იტალიას ეძლევა ისეთი უფლებები, რომელნიც სცილდებიან რუსეთ-გერმანიის რაპალოს ხელშეკრულების ჩარჩოებს.

ამის გამო გერმანიის წარმომადგენლობა მოსკოვში იუწყება, რომ არც თვით მისგან, არც გერმანიის მთავრობისაგან რუსეთ-იტალიის ხელშეკრულების პროექტის წინააღმდეგ არავითარ სიტყვიერ გალაშქრებას ადგილი არ ქონდა. და ყველა ცნობებს ამის შესახებ მოკლებული აქვს ყოველივე საფუძველი.

ავსტრიის წარმომადგენლის მიღება

მოსკოვი. 8 ივლისი. ამხ. კარახანის მიერ ავსტრიის რესპუბლიკის მთავრობის რწმუნების სიგელის მიღების დროს, მოსკოვში ჩამოსუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა სიმშილობასთან

სუფსის რაიონი

სრ. საქ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ფილიპე მახარაძეს

თქვენ მოგეხსენებათ, რომ სუფსის რაიონს გურიის ბეღელს უწოდებდენ. დღეს ეს გურიის ბეღელი და მისი მოსახლეობის სამი მეოთხედი ნაწილი აბსოლიტიურ სიმშილს განიცდის. ორი კვირაა რაც სუფსის სადგურიდან არც ერთი ფუთი სიმინდი არ გასულა. მე კვირას საღამოს ჩამოვედი ოზურგეთიდან, დამშეულმა ხალხმა „ალყა" შემომარტყა, მთხოვდენ შველას. ორშაბათს დილას 40-მდე ქალები და კაცები ჩემს ეზოში იდგნენ, მოგვეხმარეთ ვიხოცებით სიმშილით, რაკი მე თვითონ ამ სოფლის მცხოვრები ვარ, სინამდვილეში მალე დავრწმუნდი.

სუფსა არ გვქონია ჩათვლილი დამშეულთა რიცხვში, სუფსაში გასულ წელს დიდი მოსავალი იყო. ნოემბრის თვიდან 1921 წლ. მიუხედავათ იმისა, რომ აკრძალული იყო გატანა სიმინდისა, მაინც მიდიოდა ყოველ დღიურად, როგორც ნაწილ ნაწილათ ისე ბითუმათ. სუფსის ბაზრობა, რომელიც კვირა დღეობით ხდებოდა, გადაიქცა ყოველ დღიურათ. ხალხს, დამშეულს, ჩამოქონდა ყველაფერი რაც წლობის განმავლობაში შეეძინა, სახლის სამკაული, ტანისამოსი. ოქრო-ვერცხლეულობა, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი. 1 ფუთი სიმინდათ ოქროს ბეჭედი წონით ორი მისხალი. 2—3 ფ. სიმინდში—ოქროს საათი. 5—10 ფ. სიმინ.—საკერავი მაშინა ან მეწველი ძროხა, ცხენი, ავეჯეულობა, ტანისამოსი, ხალიჩები, ღვინო 10 გ.—20 გ. ფუთი სიმინდზე მოქონდათ სახლის მინებიც და თვით სახლის ჩამოტანასაც ჰქონდა ადგილი და ეს ყველაფერი მუქთათ. რასაკვირველია მაშინ სუფსის გლეხობას არ გაუთვალისწინებია თუ რა უბედურება მოჰყვებოდა მათ ასეთ მოქმედებას და შეუგნებლად სარგებლობდნენ მათი მეზობლების გაჭირვებით და დღეს მათ შერჩათ ხელში ვერცხლის კოვზები, რუმკები და სხვა მრავალი მათთვის გამოუდეგარი ქონება, გარდა სიმინდისა. დღეს სიმინდი აღარავის არა აქვს და აღარც შეუძლიათ იშოვონ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს სუფსა გაცილებით მეტად დამშეულია ვიდრე სხვა რომელიმე რაიონი. მე გავგზავნე დეპეშა ოზურგეთში დამშეულთა კომიტეტის და მაზრის თავმჯდომარესთან. გამოგზავნილია 120 ფ. სიმინდი, ეს ზღვაში წვეთია, მე შევპირდი დამშეულთ, რომ ვაცნობებ ამ გარემოებას ამხ. ფილიპეს მეთქი, დამშეულებში ამხ. ფილიპეს სახელის ხსენებამ იმედი და აღფთოვანება გამოიწვია.

ასეთია მდგომარეობა სუფსის რაიონში, რომლის მცხოვრებნი დღეს განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას შიმშილობის წხრით, რაშიდაც მე პირადათ დავრწმუნდი. ამიტომ აუცილებელია მათთვის სასწრაფო დახმარების აღმოჩენა რითაც ეს შესაძლებელი იქნება, რომ ამით დავიხსნათ ისედაც გაწამებული ხალხი ამ საშინელ სტიქიურ უბედურებისაგან.

აღმასკომის წევრი და თავმჯდომარის მოადგილე **კ. გურგენიძე.**

ლმა ამ რესპუბლიკის სრულ უფლებიან წარმომადგენელ პოლმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც დაახასიათა რ. ს. ფ. ს. რ. და ავსტრიის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორია და მიუთითა მრავალ და მნიშვნელოვან სამეურნეო კავშირზე ორთავე ქვეყნებისა, და რ. ს. ფ. ს. რ. როლზე, როგორც ავსტრიის აღორძინების უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე.

საპასუხო სიტყვაში კარახანი შეეხო ომის შემდეგ ევროპის სახელმწიფოებში შექმნილ საწუხარო მდგომარეობას და ომის მიერ დარღვეულ ეკონომიური კავშირის საერთო ეკონომიური კეთილდღეობისათვის შეთანხმებულად აღდგენის აუცილებლობას. ამხ. კარახანმა აღნიშნა აგრეთვე რაპალოს და რუსეთ-ავსტრიის ხელშეკრულებების დიდი მნიშვნელობა, პოლის თვალსაჩინო პერსონალურ როლზე მითითებით, რომელიც მრავალი თვეების განმავლობაში, როგორც სიმხედრო ტყვეების საქმეთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი ხელს უწყობდა ავსტრიის რ. ს. ფ. ს. რ თან დაახლოებას.

ოქროს და ვალიუტის ოპერაციები

მოსკოვი. 15 ივლისი (რადიო). შრომის და თავდაცვის საბჭომ მიიღო დადგენილების პროექტი სახელმწიფო ორგანოების ოქროულობის და სავალიუტო ოპერაციების შესახებ, რომელთაც ეკრძალება ძვირფასი ლითონების ყიდვა გაყიდვა მთავრობის ნებადაურთველად. აკრძალულია აგრეთვე უცხოეთის ვალიუტის ყიდვა კერძო პირებისაგან. უცხოეთის ვალიუტის მიღება საქონელის ნაცვლად შეიძლება მხოლოდ ასეთის სახელმწიფო ბანკის მიმდინარე ანგარიშში ჩარიცხვით.

უფასო სწავლება.

მოსკოვი. 15 ივლისი (რადიო). განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა აკრძალულ იქნეს სწავლების ქირის შემოღება პირველ და მეორე საფეხურის სკოლებში.

დახმარება დამშეულებს.

მოსკოვი. 15 ივლისი (რადიო). ხარკოვში მივიდა სამხრეთ-ამერიკელების დელეგაცია სიმშილობასთან გასაცნობად. დელეგაციამ მოიარა უფრო დაზარალებული ადგილები და აღუთქვა ყოველივე ზომების მიღება იმისათვის, რომ სამხრეთ ამერიკის მცხოვრებლებმა აღმოუჩინონ დამშეულებს სათანადო დახმარება.

სამეურნეო ფრონტზე.

მოსკოვი. 15 ივლისი (რადიო). ნიკოლაევში აამუშავეს მსხვილი თამბაქოს ფაბრიკა, რომელიც არ მოქმედობდა 2 წლის განმავლობაში.

კიევის აღდგენა.

მოსკოვი. 15 ივლისი (რადიო). სამოქალაქო ომისაგან დანგრეული კიევის აღსადგენად სწარმოებს ენერგიული მუშაობა. 1 აგვისტოსთვის განზრახულია დაამთავრონ სახლების შეკეთება, ხოლო 1 ოქტომბრისათვის—წყალსადენის და კანალიზაციის. მთავარი მუშაობა ამ მხრივ სწარმოებს მუშათა უბნებში და განაპირა ადგილებში.

საფოსტო დამოკიდებულება ფინლიანდიასთან.

მოსკოვი. 7 ივლისი. 10 ივლისიდან გაიხსნა საბჭოთა რუსეთსა და ფინლიანდიის შორის უშუალო და რეგულიარული საფოსტო დამოკიდებულება, ბელოსტროვის საშუალებით.

პატივისცემა ვერა ფიგნერისადმი.

მოსკოვი. 8 ივლისი. პეტროგრადში, რევოლიუციის მუზეუმში გადაიხადეს ვერა ფიგნერის დაბადების 70 წლის თავის საზეიმო დღესასწაული. დღესასწაულს დაესწრო დიდძალი საზოგადოება. სიტყვები წარმოსთქვეს ფიგნერის მეგობრებმა, რომლებიც მასთან ერთად იხდინენ შლისელბურგის ციხეში. კრებამ გაუგზავნა ვერა ფიგნერს მისასალმებელი დეპეშა მოსკოვში. მუზეუმის ერთ-ერთ ოთახში გამოფენილი იყო ფიგნერის ხელთნაწერი, მისი წერილები ლიტერატურა ფიგნერის შესახებ და ყოფილ პოლიციის დეპარტამენტის მასალები ფიგნერის საქმის შესახებ.

თესვის კომპანია.

მოსკოვი. 14 ივლისი (რადიო). პენზენის გუბერნიაში ზამთრის პურის საშვალოზე მეტ მოსავალს მოელიან. დამშეულთა რაიონებში მოსავალს კარგი პირი უჩანს.

— კაზანის გუბერნიის ყველა მაზრებში დაიწყო ხვნა თესვა.

— ჩუვაშის ოლქში დასრულდა გაზაფხულის ხვნა-თესვის კომპანია.

კაპიტალიზმის სამეფოებში

მუშებისადმი დავალიანება.

მოსკოვი. 12 ივლისი (რადიო). სამთამადნო მრეწველების მუშებისადმი დავალიანების დასაფარავად გაცემულია 144 მილიარდი მანეთი.

სათბობ მასალის მუშებისადმი დავალიანების სალიკვიდაციოდ გაცემულია ორი ტრილიონი 4 მილიარდი მანეთი.

„როტე ფანე"-ს პროცესი

მოსკოვი. 12 ივლისი (რადიო). ვენიდან იუწყებიან: სასამართლო პროცესი ვენის გაზეთ „როტე ფანე"-ს წინააღმდეგ, რომელსაც ბრალი ედება მცხოვრელების უწესოებისაკენ მოწოდებებში, დასრულდა თანამშრომელთა რიგის საბრალმდებლო განაჩენით.

წითელ პროფინტერნისათვის.

მოსკოვი. 12 ივლისი (რადიო). ელზას ლოტარინგიის მეტალთონეთა პროფკავშირებმა დაადგინეს შეურთდენ საფრანგეთის პროფკავშირთა უნიტარულ გაერთიანებას და ამ მიმდინარეობას მხარი დაუჭირონ წითელ პროფინტერნთან შეერთების სასარგებლოდ.

საკითხი ამნისტიის შესახებ გერმანიაში.

მოსკოვი. 12 ივლისი (რადიო). პრუსიის ლანდტაგში სწარმოებს სასტიკი კამათი ამნისტიის საკითხის გარშემო. ამნისტია არ ვრცელდება იმათზე, ვინც პროლეტარული რევოლიუციისათვის იბრძოლა გერმანიაში. ამნისტია ვრცელდება უფრო კაპის აჯანყებიდან დამოკიდებულ დროის პერიოდზე, ყოველ ამბოხებებში მონაწილეებზე, მუშათა კლასის ბელადებზე და ბავარიის პროლეტარულ დიქტატურის მონაწილეებზე არ ვრცელდება ამნისტია.

კომუნისტ—ქალმა ვოლფშტეინმა სასტიკი პროტესტი განაცხადა ლანდტაგში ამნისტიის ცნების დამახინჯების წინააღმდეგ, და მიმართა მოწოდებით გაერთიანებულ პროფკავშირებს, რომ პროტესტი განაცხადონ ასეთი დაცინვის წინააღმდეგ.

საზოგადო მოღვაწეობის ცნობა.

ნაუენი. 16 ივლისი (რადიო). ლოიდ-ჯორჯს განზრახვა აქვს სთხოვოს თემთა პალატას ნდობის ვოტუმი, როცა პალატა შეუდგება ტიტულით დაჯილდოვების საკითხის განხილვას განსაკუთრებით საზოგადო მოღვაწეობის აღსანიშნავად.

ინგლისი და საფრანგეთი.

ნაუენი. 16 ივლისი (რადიო). გაზეთ „ტანის" მტკიცებამ, რომ საფრანგეთს არ აქვს განზრახვა გადაუხადოს ინგლისს თავისი ვალები ახლო მომავალში, მოახდინა ლონდონში ცუდი შთაბეჭდილება.

შეერთებულ შტატების ბიუჯეტი.

ნაუენი 16 ივლისი (რადიო). შეერთებული შტატების მთავრობა მიმდინარე წელში მოელის დეფიციტს—425 მილ. დოლარს.

ტეხასში.

ნაუენი. 16 ივლისი (რადიო) შეერთებული შტატების ფედერალურმა ჯარებმა მოახდინეს ტეხასის ოკუპაცია რკინის გზელთა გაფიცვის დროს წესიერების დასაცავად.

ოსმალეთში.

ნაუენი. 16 ივლისი (რადიო) ოსმალეთის ნაციონალისტური კაბინეტი გადადგა. ნაციონალური კრება ირჩევს ახალ კაბინეტს, თუმცაღა დიდი ცვლილება არ არის მოსალოდნელი მის შემადგენლობაში.

პალესტინაში.

ნაუენი. 16 ივლისი (რადიო). არაბები პალესტინასა და სირიაში მთელ რიგ მანიფესტაციებით პროტესტს აცხადებენ ინგლისის პალესტინაზე მანდატის წინააღმდეგ. დადის ხმები, რომ პალესტინაში გამოცხადებულია საერთო გაფიცვა.

ქრონიკა

◆ **ეპიდემიურ ავადმყოფობის მოძრაობა.** ქ. თბილისში 1—8 ივლისამდე: პარტახტიანი ტიფით ავადმყოფი იყო 12, ხელახლა გახდა ავად 7 კაცი. ავადმყოფობა გადაიტანა 10 და გარდაიცვალა 1, დარჩა 8; ყვავილი: იყო სულ 8 ავადმყოფი, ავად გახდა 3, მორჩა 3, დარჩა 7; ხოლერა: იყო 12 ავადმყოფი, გახდა ავად 14, მორჩა 2, გარდაიცვალა 8, დარჩა 16. საეჭვო ავადმყოფი ხოლერით იყო 23. გარდა ამისა, კერძო ბინაზე პარტახტიანი ტიფით იყო ავად 1.

— **საქართველოს მონადირეთა კავშირის ცენტრალური საბჭო** ამით აცხადებს: 1) 1 აგვისტომდე კავშირის ყველა წევრები ხელახლა უნდა ჩაეწერონ თავიანთ განყოფილებებში და იქონიონ ახალი ნიმუშის ბილეთები. ძველი ბილეთები 1 აგვისტოდან გაუქმებული იქნება.

2) კავშირის ყველა წევრები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ ჩასწერონ თავიანთი მონადირე ძაღლები

3) ყველანი, ვინც ჰყიდიან სანადირო თოფს, ვალდებულნი არიან იქონიონ სათანადო ნებართვა კავშირის ერთ ერთ განყოფილებისაგან.

◆ **„უქიმერიონი".** გამოვიდა ქუთაისის მხატვრული მწერლობის ჟურნალი „უქიმერიონის" № 2 მონაწილეობენ: ტერენტი გრანელი, თ. ხუსკივაძე, დ. თომაშვილი, სილოვანი, ლ. სორტელი, ვ. გორგაძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, ნიკ. ლორთქიფანიძე, ვასილ წერეთელი, ს. ხუნდაძე, ვარლამ ხეროძე, ვადიმ ნორაკიძე. ჟურნალი ამ დღეებში თბილისში იქნება გასასყიდათ.

შეცდომის გასწორება

თბილისის კომიტეტის ივნისის ანგარიშში მოწვეულ კრებების ცნობებში შეპარულია შეცდომა, სახელდობრ მე 3 რაიონის მიტინგს (ბუდუ მდივანის მოხსენება გენუის კონფერენციის შესახებ), დაესწრო 1000 კაცი (ათასი), ანგარიშში კი ნაჩვენებია 100 კაცი.

ჩვენი გაზ. № 160 ში მეოთხე გვერდზე „განათლების კურსებზე" წერილში არის მელაური, უნდა იყოს გოგელაური. უნიაშვილი, უნდა იყვეს ხუხნიაშვილი, 53 მაგიერ, უნდა იყოს 43. სიაში გამორჩენილია კურს დამთავრებული სტუდენტი: მიხეილ იმნაძე (ქეჩიკო).

◆

პარტიული ცხოვრება

კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მოღვაწეობა ივნისის თვის განმავლობაში

ივნისში წარმოებულ იქნა ძალიან დიდი საორგანიზაციო მუშაობა. ის დროებითი მიდრეკილება პარტიული მუშაობისა, რომელსაც ადგილი ქონდა მაისის თვეში და რომელსაც ერთგვარი ობიექტიური მიზეზები ქონდა, გათავდა, მუშაობა ჩადგა თავის კალაპოტში და ინტენსიურის ტემპით განვითარდა. განსაკუთრებითი საორგანიზაციო მუშაობიდან ჩატარებულ იქნა შემდეგი: შემოღებულია ერთიანი პარტიული დღე (პარასკევი), დაწყებულია დამხმარე იაჩეიკების ორგანიზაცია, გადაწყვეტილია საკითხი პროფკავშირთა და პარტ ორგანიზაციების კავშირის შესახებ, მოწყობილ იქნა თბილისის კომიტეტთან საორგანიზაციო კოლეგია, მოხდენილ იქნა პასუხის მგებელ მუშაკების იაჩეიკების ხელმძღვანელების ხელ ახალი განაწილება, გადაწყდა საკითხი თბილისის კომიტეტისა და ცეკას საორგანიზაციო განყოფილებათა ურთიერთობის შესახებ. გარდა ამისა ბევრი რამ გაკეთდა პარტიულ აღმშენებლობის სფეროში როგორც მაგალითად: გადაწყდა საკითხი წერა კითხვის უცოდინართა პარტიაში შესვლის პირობების შესახებ, დაარსებულ იქნა ურთიერთ დახმარების კასა, საბოლოოდ განსაზღვრულ იქნა საწევრო გადასახადის რაოდენობისა და მისი აკრეფის წესი და სხვ. გარდა ყოველივე ამისა თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებამ შეიმუშავა მომავალი მუშაობის გეგმა, რომელშიც, გარდა საერთო დებულებებისა საორგანიზაციო განყოფილების შესახებ, დასახული მთელი რიგი პრაქტიკული ზომებისა საორგანიზაციო, აღრიცხვის, განაწილებისა და ინფორმაციის მუშაობის სფეროში.

ივნისში იაჩეიკების მუშაობა სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა; მუშაობას განსაზღვრული და გარკვეული გეგმა არ ქონებია; ზოგიერთ რაიონებში უმთავრესი ყურადღება ექცეოდა ადგილობრივი სამეურნეო ხასიათის საკითხებს, ზოგან კიდევ მომენტის მიერ წამოყენებულ პოლიტიკურ საკითხებს. იაჩეიკების სხდომების დღის წესრიგის საერთოდ გადათვალიერებით არ შეიძლება მიიღოთ შთაბეჭდილება გარკვეული სისტემატიური მუშაობისა, პირიქით იქმნება შთაბეჭდილება მუშაობის უსისტემობისა და უწესრიგობისა. ამჟამად ეს საკითხი, ერთიანი პარტიული დღის შემოღებით, მოწესრიგებულია. თვითეული შემთხვევისათვის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ადგენს დღიურ წესრიგს, რომელიც ისმება ყოველი იაჩეიკის სხდომაზე, იაჩეიკების ორგანიზაცია ეწყობა წარმოების პრინციპის მიხედვით, თუმცა წარსულ თვეში ახალი იაჩეიკების მოწყობა არ მომხდარა. როგორც ზევითაც იყო აღნიშნული, ივნისში დაიწყო დახმარების იაჩეიკების მოწყობა. ჯერ-ჯერობით შედეგები დიდი არ არის, რადგანაც ძალიან პატარა დრო გავიდა მას შემდეგ. 1 რაიონში მოეწყო სამი ორგანიზაცია: ა) რკინის გზის სამსახურის მე-6 რაიონთან, ბ) მთავარ სახელოსნოს სამჭედლო ამქართან და გ) მთავარ სახელოსნოს შემკრებლობითი ამქართან. მე-4 რაიონში მოეწყო იაჩეიკა რუსთაველის თეატრთან. მომუშავეთა გადაყვან გადმოყვანას ივნისში ადგილი არ ქონებია, მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო მოხდა პასუხისმგებელ მუშაკების (იაჩეიკების ხელმძღვანელების) ხელახალი განაწილება იაჩეიკების მიხედვით, რათა უფრო მიზანშეწონილათ ყოფილიყვნენ ისინი გამოყენებულნი. ორგანიზაციებში მომუშავენი სავსებით საკმარისნი არიან და ასეთების მოთხოვნილება არ არსებობს, გარდა ისეთი ორგანიზატორებისა, რომელთაც იციან ქართული ენა. მომუშავეთა წამოყენება და მობილიზაცია არ მომხდარა.

საანგარიშო თვის განმავლობაში თბილისის კომიტეტს ქონდა 10 სხდომა.

ბიუროს	7-ჯერ
პლენუმს	3 ჯერ.

თბილისის კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა 77 საკითხი და მათ შორის:

პარტიული საორგანიზაციო—41.
საბჭოთა აღმშენებლობის —18.
დანარჩენი — — —19.

იაჩეიკებს ივნისის განმავლობაში ქონდათ 262 სხდომა და განხილულ იქნა 1340 საკითხი, მათ შორის:

პარტიული საორგანიზაციო	562.
საბჭოთა აღმშენებლობის	198.
პროფესიონალური	187.
სამეურნეო	139.
დანარჩენი	254.

საერთო კრება ივნ. გაიმართა 6 ჯერ. დელეგატების კრება მოხდა 6 ჯერ. საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო ქვეგანყოფილების მუშაობა მიმდინარეობდა შემდეგნაირად:

	შემოვიდა მოთხოვნილება	გაიგზავნა
პარტიულ ორგანოების .	1	7.
პროფეს. ორგანოების .	1	7.
საბჭოთა დაწესებულების	11	62.
სულ	13	76.

მაისის ანგარიშში სავსებით იყო აღნიშნული ის კავშირი, რომელიც ქონდა თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებას, პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობასთან, პროფკავშირების კულტურულ განყოფილებასთან და სხვ. მიმდინარე თვეში ამ სფეროში ცვლილება არ მომხდარა. ივნისში ჩატარებულ იქნა შემდეგი საგიტაციო კამპანია:

1. გენუის კონფერენცია;
2. ესერების გასამართლება; 3. მენშევიკების პროვოკაცია; 4. მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს არჩევნები.

ამ თემაზე მოხსენებები ეკითხებოდა იაჩეიკების სხდომაზე და აგრეთვე წარმოებების მიხედვით უპარტიოთა საერთო კრებებზედაც. სულ გაიმართა უპარტიოთა საერთო კრება 186-ჯერ, რომელსაც დაესწრო დაახლოებით 600.000 კაცი. პარტიის წევრთა პოლიტიკური აღზრდა გადატანილია დაბალი ტიპის პოლიტიკურ წრეებში, რომელიც ეწყობა წარმოებებთან, ჩამორჩენილ პარტიულ ამხანაგებისათვის და თანაგრძნობ უპარტიო მუშებისათვის. განზრახულია ასეთი წრეების დიდი ქსელის მოწყობა, რომლის განხორციელებაც დაიწყება ივლისში.

პოლიტიკურ წრეების მუშაობის გეგმა იყო: მარქსიზმის ძირითადი საფუძვლების შესწავლა, შესწავლა—პარტიის პროგრამისა. წიგნებისა და ისტორიისა, მუშათა მოძრაობის ისტორია. ყოველივე ეს რასაკვირველია, სწარმოებს ელემენტალური სახით. უპარტიო მასები იღებენ მონაწილეობას პოლიტიკურ და სამეურნეო საკითხების განხილვაში, წარმოებათა უპარტიოების კრებებზე და უპარტიოთა ფართო კონფერენციებზე, რომელიც მოეწყო ივნისში მე-2 რაიონში და რომელსაც დაესწრო 270 დელეგატი. უპარტიოთა ფართო კონფერენციის დღიური წეს რიგი იყო: 1. მიმდინარე მომენტი, 2. პროფკავშირთა ახალი ამოცანები, 3. მოხსენებანი ადგილებიდან და სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციების განმარტებანი, 4. ესერების პროცესი, 5. მიმდინარე საკითხები.

(დასასრული იქნება).

ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა კომიაჩეიკაში.

ჯსახალხო კავშირის კომიაჩეიკა, ამავე კავშირის და ქარხანა „ტეგზას" უპარტიო მუშა-მოსამსახურეებთან ერთად 7 ივლისის სხდომაზე გერმანიის ამბების შესახებ ამხ. ალექსანდრე ყამარაულის მოხსენების შემდეგ აღნიშნავს, რომ საერთაშორისო მენშევიზმის მოღალატურმა პოლიტიკამ ევროპის პროლეტარიატის განთავისუფლების საქმე მიიყვანა იქამდის, რომ გერმანიაში სადაც ძალა-უფლება მეორე ყვითელ ინტერნაციონალის ხელმძღვანელების ხელშია, რომელთა მფარველობის ქვეშ იმყოფება მონარქისტების ხროვა, ეს უკანასკნელი უკვე წელში იმართება, და ამიტომ ჩვენ მე-III კომინტერნის ოჯახის წევრები, კვლავ მოუწოდებთ მთელი ქვეყნის მუშებს, და კერძოდ გერმანიის მუშებს, იყვნენ ფხიზლად, მჭიდროდ შეაკავშირონ თავისი რიგები ბურჟუაზიის ლაქია მენშევიკების წინააღმდეგ ერთიანი მუშათა ფრონტის ლოზუნგით, და შორს არ არის ის დღე, როდესაც ჩვენი ბრძოლის შტაბის მე III კომინტერნის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლების იდეა გაიმარჯვებს გერმანიაშიც და მთელ ქვეყანაზე.

გაუმარჯოს მე-III კომინტერნს! გაუმარჯოს გერმანიის მუშებს, რომელნიც ეხლა, როგორც არასოდეს, მოწოდებული არიან იხსნან თავისი მდგომარეობა და შორს განდევნონ თავისი გამყიდველები.

სარედაქციო კოლეგია

განცხადება

1922 წელს, 7 აგვისტოს, დღის 12 საათზე მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის საძოვართა და საიჯარო ნაკვეთების განყოფილებაში (სა სამართლოს ქუჩა № 32) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა თევზის დაჭერის უფლებაზე პალეოსტომის ტბაში (სენაკის მაზრაში) და იმ მდინარეებში რომელიც ჩადის და გამოდის ამ ტბიდან, ვადით 1922 წლის 14 აგვისტო დან 1923 წლის 14 ივნისამდე. ქვირითის დაყრის დროს, ესე იგი 14 ივნი სიდან 14 აგვისტომდის, როცა თევზის დაჭერა სახელმწიფოს აყენებს დი ზარალს, აკრძალულ ხანათ ითვლება. საჯარო ვაჭრობა დაიწყება 730 მი მანეთიდან, ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს საძოვარ თა და საიჯარო ნაკვეთების განყოფილებაში შემოაქ განცხადება და ერ გენს 185.000.000 მან. ზეს.

ვინც საჯარო ვაჭრობაში მისცემს უმაღლეს ფასს და საჯარო ვაჭრო ბა დამტკიცებულ იქნება მიწადმოქმედების კომისარიატის მიერ მასთა იკვრება წერილობითი ხელშეკრულება, საიჯარო გადასახადი-კი უნდა ი ნეს შემოტანილი ორ ნაწილათ: პირველი ნახევარი 1922 წლის 1-ლ ო ტომბრამდის, მეორე ნახევარი 1923 წლის 1-ლ აპრილამდის.

საჯარო ვაჭრობის დღეს ვიზედაც დარჩება თევზის დაჭერის უფლებ ვალდებულია შეავსოს ბე არა ნაკლებ იმ ფასის მეოთხედი ნაწილისა, რ ფასში დარჩა მას თევზის დაჭერის უფლება საჯარო ვაჭრობაში. შევსებუ ლი ბე რჩება ხაზინაში მიწადმოქმედების კომისარიატის დეპოზიტში საიჯა რო ვადის გათავებამდის.

დანარჩენ პირებს, ვიზედაც საჯარო ვაჭრობით თევზის დაჭერის უფ ლება არ დარჩება მათ ბე უბრუნდებათ იმ დღესვე.

(3—2).

თანახმად დეკრეტის № 8 მატყლის მონოპოლიის შესახებ

სახალხო სასურსათო კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ ყველა ის კერძო პირი და დაწესებულება, რომელსა აქვს მატყლი საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში,

მოვალეა გამოაცხადოს

ერთის კვირის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა

მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემსში"

(ნიკოლოზის ქუჩა № 22) როგორც მატყლის რაოდენობა, ისე მისი ღირსებ წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი მიცემულ იქნებიან სამა თალში და მატყლი ჩამოერთმევათ კონფისკაციის წესით.

(2—2) **სახალხო სასურსათო კომისარიატი.**

იყიდება ყინული

ქალაქის სასაკლაოებზე. მოტანით 40.000 მან. ფუთი, ად გილობრივ 30.000 მანეთი.

იმათ, ვისაც სურთ შეიძინონ ყინული უნდა წარადგინონ სასაკლა კანცელარიაში განცხადება (ტელ. 8—66).

ტფილისის ქალაქის სასაკლაოს დირექტორი **ი. დვოროკოვსკი.**

(3—2)

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტუ რი რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობი

სახალხო კომისარიატი

(ЗАКВНЕШТОРГ)

იღებს რა მონაწილეობას ნიჟნი-ნოვგოროდის იარმუკაზე (1 აგვი ტოდან—15 სექტემბრამდე), აცნობებს ყველა დაწესებულებებს, ორგანიზ ციებს და კერძო კომერსანტებს, რომელთაც სურს მონაწილეობა მიიღ იარმუკაზე თავისი საქონლით, რომ იგი კისრულობს ამ საქონლის გადა ზავნას შეღავათიანს, საკომისიო პირობებში თავისი მარშრუტებით.

ცნობებისათვის მსურველთ უნდა მიმართონ ყოველ დღე (უქმეებს გა და) დღის 12—3 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე ზაკვნეშტორგის ნ ჟეგოროდის იარმუკაზე მონაწილეობისათვის არსებულ დროებით ბიურო (ბარიატინსკის ქ. № 6, ზაკვნეშტორგის სარაჭრო განყოფილების ბინა) ბი როს თავმჯდომარეს ტ. ს. მელიქოვს ან მის მოადგილეს ნ. ლ. კოვალე კის. ქალაქ გარეშეთ სთხოვენ მიჰმართონ ზაკვნეშტორგის სათანადო განყ ფილებას ადგილობრივ.

ა. კ. ს. ს. რ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი.

აბანოები

ყოფ. ორბელიანის, არღუტინსკის და ირაკლის

ახლად შეკეთებულია და მშვენივრად მოწყობილი ნომრებით.

ცივი და ცხელი ორთქლი

გოგირდის წყალი. მუდამ არის თავისუფალი ნომრები.

(10—3)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

(25—12)

ქ. ტფილისის 1-ლი უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ ოლგა გაბრიელის ასული აქრივო ლოს დაბადებით ხუციევი დარჩენილ ქონებაზე, რათა განაცხადონ თავი თი უფლება ორი თვის ვადაში.

(1—1) **სახალხო მოსამართლე არჩვაძე.**

დაიკარგა

პირადობის მოწმობა და სარეგისტრაციო ბარათი გიორგი არჯევა ძე შაყულაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 2—1

დაიკარგა: პასპორტი, პირადობის მოწმობა, საწევრო წიგნ მთლიანი მუშათა კოოპერატივისა და „ერთობის" კოოპერატივისა და ს ქაღალდები. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1—1)

ტირაჟი 10,000. ნ. დ. ს. ც.

საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.